ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2017 წელი, 9 იანვარი, №1 (6438)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი



## 31 დეკემბერს ქალაქ ყვარლის ცენტრში გრანდიოზული საზეიმო კონცერტი გაიმართა

31 დეკემბერს საღამოს 9 საათზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინამდებარე მოედანზე გრანდიოზული კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ილია მზექალაშვილმა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ჯემალ შავერდაშვილმა ახალი წელი მიულოცეს შს სამინისტროს ყვარლის პოლიციის სამმართველოს, სახანძრო-სამაშველო სამსახურის და სასწრაფო დახმარების თანამშრომლებს, რომლებიც ამ დღეს მორიგეობდნენ. მათ საახალწლო ტკბილეული მიართვეს და წარმატებები უსურვეს ყველაზე საპატიო და საპასუხისმგებლო საქმიანობის განხორციელებაში.

საახალწლო კონცერტი უმშვენიერესი ფეიერვერკით დასრულდა.







## მილოცვა

2017 წლის 7 იანვარს 100 წლის გახდა დიდი სამამულო ომის მონაწილე

**დავით მეტრეველი.**

ვულოცავთ იუბილარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ერისა და ქვეყნის წინაშე გაწეული ერთგული სამსახურისათვის.

**ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**
**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო,**
**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების**
**ვეტერანთა ყვარლის რაიონული კავშირი**

## განცხადება

2017 წლის 17 თებერვალს, 14 საათზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ყვარელი, კუგიგორის ქუჩა №1) გაიმართება ყვარლის მუნიციპალიტეტში „ავანი ჰესის“ და ქ/ს „ახალსოფელი-35-ის დამაკავშირებელი 35 კვ-იანი საკაბელო-საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია 35 კილოვატიანი ძაბვის გადამცემი ხაზის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს „ავანი ჰესი“-ს მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ელექტროსისტემაში ჩართვას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში — ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა №1;

შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17 ა.ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

კახა კობაიძე. ტელ: 595 72 70 70; -მაილ: ვანჰპპგმაილ.ცომ;

ნიკოლოზ სოფაძე. ტელ: 59772 88 71;

E-mail: nikasofadze@hotmail.com;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

**შპს „ენერგო ინვესტი“-ს ადმინისტრაცია**

## ჯანმრთელობა, ბარაქა, მშვიდობა, სიუხვე და სიკეთე მოეტანოს ახალ, 2017 წელს ჩვენი ქვეყნისათვის



### „...და ამ თოვლის ქვეშ სიჩუმეა გაზაფხულისა“

თოვლით დაზნექილა ეზოში ყვავილები, აქა-იქ მზის სხივზე გვიანელა ქრიზანთემები ანათებენ. ამის მნახველი ადვილად მიხვდება, რომ აქ ღვთის თვალი ტრიალებს, მაგრამ თუ კიბეებსაც აივლით და ოთახში შებრძანდებით, ნამდვილ წალკოტში აღმოჩნდებით. აუარებელი ქოთნის ყვავილი ისე ლამაზადაა გადაშლილ—ჩამწკრივებული, რომ ნაღვლიან გულსაც გაახალისებს.

კაზარმის თავში აგურით ნაშენებ კოპწია სახლში ქალბატონი ციალა მაისურაძე ცხოვრობს, ყვარელში კაიკაცობით ცნობილ, დიდი მოამაგის, დურუჯის ბუნებრივი გუშაგისა და მომთვინიერებლის, შოთა სუჯაშვილის მეუღლე. შვილი არ ჰყავს, მაგრამ ისეთი ქალბატონია და ისეთ ადგილზე ცხოვრობს, რომ მგონი ყველანი მისი კალთის ქვეშ შეფარებული შვილები ვართ. ციალა 87 წლის მხნე, ქართული სიდარბაისლით შემკული პიროვნებაა; მეუღლის დიდი დამფასებელი, მეგობარი, მთელი ყვარლის მცოდნე და, საერთოდ უაღრესად განათლებული ადამიანი.

### ილიას ჯებირები

მე-11 კლასში ილია ჭავჭავაძის შესახებ ვისაუბრე, როგორც ხალხის ქომაგზე და მისი თაოსნობით გაკეთებული მდინარე დურუჯის ჯებირებიც ვახსენე, რომელმაც თითქმის 40 წელი კარგად გაუძლო შავი კლდიდან მოხეთქილ ტალღებს, რომელსაც მუდმივად მყარი მასალაც გამოჰქონდა. გადაუღებელი წვიმებისა და დიდთოვლობისას იცის დურუჯმა, ამ მსოფლიოში ცნობილმა ღვარცოფულმა მდინარემ ადიდება. მოდის და მოაგორებს უზარმაზარ ქვებს, ტალახს. ცნობილი დიდი ქვაც, რომელიც 150 ტონას იწონის ხომ მისი ჩამოტანილია! დურუჯის გაავება მუდამ საშიშია.

### როცა ცხოვრება შინაარსიანია

რამდენიმე მოსწავლე შევაგულიანე და დეკემბრის ამ სუსხიან დღეს წავედით კაზარმაში ყველაფრის სანახავად. საოცარი ხედებია გადაშლილი, სულ სამი მოსწავლე მყავს თან: თაკო სეფაშვილი, თეკლა ნაწილაშვილი და ლელა მამანიშვილი. სინანულმა შემიპყრო, რომ მთელი ჯგუფი არ წამოვიყვანე. ეს გრძნობა კიდევ უფრო გამიძლიერდა, როცა ქალბატონ ციალას შევხვდით. ის ლამაზი ქართულით საუბრობს, საოცარი მეხსიერება აქვს და ზედმიწევნით იცის საქართველოს ისტორია.

ჩვენმა „ახალ-უხლებმა“ იცოდნენ, რომ მხოლოდ კომპიუტერებთან არ უნდა ისხდნენ. წიგნების კითხვაა საჭირო, ლამაზი ადგილების — ზეპირი ცოდნაც. ციალა მაისურაძეს ბევრი რამ აღმოაჩნდა მისაბაძი: მწყობრი არგუმენტირებული საუბარი, სტუმარ-მასპინძლობის წესების დაცვა, საუბრის ტონი, გარეგნობა, ურთიერთობა მეზობლებთან. (მასთან დიდი მოკრძალებით ტრიალებენ, მისი მიმართვა ბავშვებისადმი „დედიკო“ ისე ტკბილად ჩაესმის ადამიანს, რომ გულის უნაზეს სიმებს ათრთოლებს, ხედავს ყველაფერს თვალით და გონებით, ყურადღების გარეშე არაფერი არ რჩება.

ქალბატონ ციალას ლიპეცკის მეფუტკრეობის სკოლა აქვს გავლილი. თავიდან ბოლომდე ყვარლის რაიონის ფუტკრის საჯიშე მეურნეობის წარმა-

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

# ჯანმრთელობა, ბარაქა, მშვიდობა, სიუხვე და სიკეთე მოეტანოს ახალ, 2017 წელს ჩვენი ქვეყნისათვის



დასაწყისი მე-4 გვ.-ზე

ტებული მუშაკი იყო. ამაზე მისი ჯილდოები მეტყველებენ — მედლები და ორდენები.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი საუბარი, როცა ის 1949 წლის დურუჯისაგან დატრიალებულ ამბებს იხსენებს. 2 ივლისს, ღამის 2 საათზე წუთებში გაქრა სიცოცხლე მისი მეზობელი სამხედროებისა, რომელთა შორის ერთი ქართველიც იყო ოჯახით — ცხოვრებაძე; 56 სამხედრო დაიღუპა, აქედან 54 მფრინავი. დიდი იყო ზარალი, მსხვერპლი, ნგრევა, დატბორვა. საფლავებს ბოლომდე პატრონობდნენ სუჯაშვილები — ბატონი შოთა და ქალბატონი ციალა.

### საქმემან შენმან...

ყვარლელი ხალხის სამსახურში დალია სიცოცხლე გულმართალმა, ყაზბეგელმა, მოხევე კაცმა — შოთა სუჯაშვილმა. კარგი სახელი ადამიანისა იბადება მაშინ,როცა ადამიანი საზოგადო საქმესაც ისეთი თავდადებით აკეთებს, როგორც — საკუთარს. ასეთი კაცი უფლის მარჯვნივ მდგომია და უკვდავებისკენ იკაფავს გზას.

ბატონ შოთას სიყვარულმა დაათმობინა ყაზბეგის მთათა მწვერვალები და ყვარლის მთების ძირში დასახლდა. მას მელიორაციისა და მეტეოროლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული როსტოვში და ორმოცდათვრამეტი წლის განმავლობაში ზრუნავდა დურუჯის გასაუვნებლად, ჩალის ტბისა და კუდიგორის ტბის შესაქმნელად. იგი იყო ნიჭიერი მელიორატორი, სახელმწიფო საწარმო „მტკვარის“ უბნის უფროსი და საქმის მწარმოებელი. იგი ხელმძღვანელობდა დურუჯის თავში საცდელი კაშხლის აშენებას, რომელმაც გაამართლა კიდეც. როგორც მეცნიერებმა გამოარკვიეს ამ კაშხალმა 700000 კუბური მეტრი მყარი მასა დააკავა და ყვარელს მშვიდად ეძინა.

ქალბატონი ციალა კმაყოფილია, რომ მისი მეუღლე დიდ სიყვარულს იჩენდა ყვარლისადმი და ყვარლის ხალხმაც დააფასა მისი ამაგი; კარგად შეეთვისნენ ერთმანეთს და არც სიცოცხლის შემდეგ დაშორებია მას. იგი დაკრძალულ იქნა ჩვენსავე ქალაქში თავისი ანდერძის თანახმად.

ადამიანი უძლიერესია. კაცი აღარ არის, სიყვარული დარჩა. ამ გრძნობას ვერავინ დამარხავს.

### ახალი წლის იმედით

მოგონებებს ბოლო არ უჩანს.საამურად გუგუნებს ღუმელი. ხმელ შეშას ტკაცატკუცი გააქვს. ჩვენი მასპინძელი აშკარად გახარებულია ჩვენი სტუმრობით. ჩემი მოსწავლეები ვიდეოს უჩვენებენ მას, სამახსოვრო სურათებს იღებენ ერთად, ყვავილებს ათვალიერებენ, ჰპირდებიან, რომ კიდევ მოინახულებენ და სიყვარულით ემშვიდობებიან.

მდუმარედ დავადექით გზას. ნაღვლიანი ვარ, მაგრამ სადღაც გულის კუნჭულში იმედი მაქვს, რომ „ამა ქვეყნისა დიდი და მცირე, არს ცვალებისა მზირე“ და ჩვენს ქვეყანაშიც შეიცვლება რაღაცა სასიკეთოდ. შეიძლება ამ იმედს ახალი წლის მოახლოება გვინერგავს გულში, მაგრამ ესეც კარგია.

ჯანმაგრობა, ბარაქა, მშვიდობა, სიუხვე და სიკეთე მოეტანოს ახალ, 2017 წელს ჩვენი ქვეყნისათვის.

ისეთი წელი დამდგარიყოს, რომ ქალბატონ ციალას და ყველას, ვისაც ეს სჭირდება, მზრუნველობა არ მოაკლოს ჩვენმა მთავრობამ, დახმარება ისევ გაუწიოს თავის ღვიძლ შვილებს.

**ნ. იშხანიძე,**
**ყვარლის №1 საჯარო სკოლის**
**უფროსი მასწავლებელი**





# ამოქმედდა თუ არა მართვის მოწმობის 100 ქულიანი სისტემა — შსს გავრცელებულ ინფორმაციას პასუხობს

შინაგან საქმეთა სამინისტროში უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მართვის მოწმობის ე.წ 100-ქულიანი სისტემა ამოქმედდა. ამის შესახებ ამბები.გე-ს უწყების პრესსამსახურში განუცხადეს.

„გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ამ დროისთვის საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებების განხორციელებას ითვალისწინებს, საქართველოს პარლამენტშია განსახილველად და განხილვები განახლდება საგაზაფხულო სესიაზე“, — აცხადებენ უწყების პრესსამსახურში.

როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით 2017 წელს რამდენიმე სიახლე აქვს დაგეგმილი. მათ შორის არის მართვის მოწმობის გამოცდის პრაქტიკული ნაწილის გართულება და ასევე, მართვის მოწმობის 100 ქულიანი სისტემის შემოღება. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა აღნიშნა, მართვის მოწმობებზე ყველაზე მაღალი ქულის ჩამოკლება მოხდება სიჩქარის გადაჭარბებისთვის ან ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის.

„საგზაო მოძრაობის მიმართულებით სიახლე იქნება ის, რომ მართვის მოწმობის გამოცდა შეიცვლება და გარკვეულწილად გართულდება, ანუ რეალურ დროში გადავა ქუჩაში. ამისთვის ჩვენ ჩავატარეთ მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები. ქულების მინიჭებას კიდევ დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა მდიდარი და ღარიბი გათანაბრდეს და ჯარიმაში არ გამოიხატებოდეს სახელმწიფოს დამოკიდებულება კანონის დამრღვევთა მიმართ. ყველაზე მაღალი ქულის ჩამოკლება მოხდება სიჩქარის გადაჭარბებისთვის ან ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის“, — განაცხადა შალვა ხუციშვილმა რამდენიმე კვირის წინ „პალიტრანიუსის“ ეთერში.

ცნობისთვის, აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი მთავრობამ პარლამენტს ჯერ კიდევ 2015 წელს წარუდგინა. განხილვის პროცესი კომიტეტებში გაიმართა. შედგა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, თუმცა მთელ რიგ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის გამო პროცესი წინ აღარ წასულა.

**ნინო დათაშვილი**



# როგორ არ უნდა უმკურნალოთ გრიპს — შეცდომები, რომლებსაც ბევრი უშვებს!

გრიპის მკურნალობა არცთუ ადვილია, საკმაოდ სერიოზული საქმეა. უყურადღებობის შემთხვევაში მას შეიძლება სერიოზული გართულებები მოჰყვეს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია დროული და სწორი მკურნალობის დანიშვნა.

### გრიპის ფეხზე გადატანა

ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ გრიპი თავისით გავა. ასეთი ადამიანები რეგულარულად იღებენ სიცხის დამწევ პრეპარატებს და ისე დადიან სამსახურებში.

გახსოვდეთ, რომ გრიპი ვირუსული დაავადებაა, რომელიც გადადის ჰაერწვეთოვანი გზით. ასე რომ, უყურდღებობის შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ ვირუსი სხვებსაც გადაედებათ, საგრძნობლად რთულდება თავად გრიპიანი ადამიანის მდგომარეობაც.

მსუბუქ ფორმებში მიმდინარე ვირუსი მართლაც შედარებით სწრაფად იკურნება, თუმცა წოლითი რეჟიმის დაცვა მაინც აუცილებელია.

ასევე აუცილებელია ვირუსის დროს ექიმთან ვიზიტი, ასე თქვენ დაცული იქნებით ზედმეტი გართულებებისგან. დაზღვეული იქნებით ფილტვების ანთებისგანაც, რომელიც ძალიან ხშირად ფატალური შედეგით მთავრდება ხოლმე.

გრიპის ანტიბიოტიკებით მკურნალობა დაუშვებელია. ანტიბიოტიკები შექმნილია ბაქტერიების მოსასპობად და არა სურდოს დასამარცხებლად.

ცხელი სასმელები, ჩაი, კომპოტი და სხვა მართლაც ამსუბუქებს ავადმყოფი ადამიანის მდგომარეობას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სასმელები იქნება თბილი და არა ცხელი.

მცდარია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გრიპის მკურნალობა ალკოჰოლით ეფექტურია. გაუფრთხილდით ღვიძლს და შეეშვით ალკოჰოლს.

თუ ავადმყოფს ამცივნებს, თბილად ჩაცმა ბუნებრივია, თუმცა არ გირჩევთ ზედმეტად ჩათბუნებას, ამაზე ეფექტური ოთახის ხშირად განიავებაა. ასევე ძალიან კარგია 3-5 წუთით თბილი შხაპის მიღება, ცხელი აბაზანის მიღებისგან კი თავის შეკავებას გირჩევთ.

და ბოლოს, რაც შეიძლება ხშირად დაიბანეთ ხელები, ავადმყოფმაც და კარგად მყოფმაც.

/mshoblebi.ge/

# „გამარჯობა, საფერავო“ — ქართული ღვინის პოპულარიზაცია აშშ-ში

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი აშშ-ში საქართველოს დესპანთან, გიორგი ციკოლიასთან ერთად ვაშინგტონში გამართულ ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაციას „გამარჯობა საფერავო“ დაესწრო.

ქართული ღვინის საღამო ამერიკა-საქართველოს ბიზნესის ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა.

აშშ-ში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს პარტნიორი კომპანია „ქართული ღვინის სახლმა“, გასული წლის დეკემბერში, გამართა ქართული ღვინის პოპულარიზაციის აქცია „გამარჯობა, საფერავო“ (Well, Hello Saperavi), რომლის ფარგლებშიც მთელი თვის მანძილზე ვაშინგტონში, სხვადასხვა ღვინის სპეციალიზირებულ სავაჭრო ობიექტებში, ბარებსა და რესტორნებში ქართული ღვინის, კერძოდ, „საფერავის“ დეგუსტაციების სერია გაიმართა.

აქციის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება საფერავის სხვდასახვა ნაირსახეობა — ქვევრის საფერავი, ნახევრადტკბილი, ახალი ვაზის საფერავი, საფერავი როზე და სხვა. დეგუსტაციებს ღვინის პროფესიონალები, სომელიეები და უბრალოდ, ქართული ღვინის დამფასებლები ესწრებიან.

ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინისთვის პოტენციურად მზარდი საექსპორტო ბაზარია. დღეისათვის, ღვინის ეროვნული სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, აშშ-ში აქტიურ მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს და მათ გაგრძელებას მომავალშიც გეგმავს.



მიმდინარე წლის 11 თვის მონაცემებით, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 294 ათასამდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 27%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

# რწმენის სიმტკიცე, სულიერი გაუტეხლობა, სამშობლოს ერთგულება, მოყვასის სიყვარული, ჭირსა და ლხინში თანადგომა, მაღალი კულტურა და ქრისტიანული ზნეობა განგების ძალას უხვად გაუმეტებია შილდელებისათვის...

**დასაწყისი იხ. „ყვარელი“ №23-24, 2016 წ.**

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ შილდა ყოველთვის გამოირჩეოდა, როგორც მაღალი კულტურისა და განათლების სოფელი. ზემოთ უკვე აღინიშნა იმ ნეკრესელი მღვდელმთავრების შესახებ, რომლებიც დიდ საგანმანათლებლო და კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა, რომ სოფელზე და მის მოსახლეობაზე თავისი გავლენა არ მოეხდინა.

ჯერ კიდევ აბიბოს ნეკრესელმა მე-6 საუკუნეში შექმნა სკოლა, რაც თავისთავად იმ დროის დიდ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. შემდგომში დოსითეოზ ნეკრესელი (1758-1794 წ.წ.) თავის ეპარქიაში ხსნის პირველ დაწყებით სკოლებს, რომელთა მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდა და შესანიშნავ აღმზრდელადაც ითვლებოდა. დოსითეოზის შემდეგ კი ამბროსი ნეკრესელმა შექმნა მჭევრმეტყველების სკოლა, რომელიც შილდაში ფუნქციონირებდა. თუმცა 1812 წელს, კახეთის აჯანყების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ დახურა ეს სკოლა, რომელიც შილდის ღვთისმშობლის ეკლესიაში იყო განთავსებული.

ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ (1864 წ.), კაპიტალიზმის დამკვიდრება-განვითარების პროცესმა თავისთავად დააყენა დღის წესრიგი სახალხო განათლების განვითარება. ამ პერიოდში ასპარეზზე უკვე გამოსული იყო ქართველ სამოციანელთა პროგრესულად მოაზროვნე თაობა, რომელმაც თავისი მოღვაწეობა საგანმანათლებლო საქმიანობით დაიწყო. გავიხსენოთ თუნდაც ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ერის ისტორიაში). ამ დროს პროგრესულ მოღვაწეთა თაოსნობით იხსნებოდა და ფართოვდებოდა დაწყებითი სკოლების ქსელი. ასეთი სკოლა 1868 წელს შილდაშიც გაუხსნიათ და მისი პირველი მასწავლებელი დიმიტრი აღნიევი (აღნიაშვილი) ყოფილა, ამას გვამცნობს გაზეთ „დროების“ 1868 წლის 29 ნოემბრის ნომერი და ადასტურებს გაზეთი „ივერიაც“, რომელიც 1890 წლის №12-ში წერდა, რომ შილდაში (თელავის მაზრა) უკვე 22 წელიწადია, რაც სასოფლო სკოლა არსებობსო. სამწუხაროდ, ისტორიაში არ არის შემორჩენილი იმათი ვინაობა, ვისი თაოსნობითაც ეს სკოლა იქნა დაფუძნებული, არც ისაა ცნობილი, თუ რამდენ ხანს იარსება ამ სკოლამ. ცნობილია მხოლოდ, რომ შილდაში 1900 წელს გახსნილა გლეხთა სამკლასიანი სკოლა და მასწავლებელი ყოფილა გ. კირვალიძე, საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი შილდაში გაიხსნა ოთხწლიანი სკოლა. შილდის ოთხწლიანი სკოლის გვერდით, რომელიც დღევანდელი ამბულატორიის შენობაში იყო გახსნილი, ძველი კულტურის სახლის შენობაში გლეხთა ახალგაზრდობის შვიდწლიანი სკოლაც ფუნქციონირებდა. შემდგომში თანდათანობით მოხდა არასრულ და სრულ საშუალო განათლებაზე გადასვლა და უკვე 1940 წლისათვის ათწლედი მოქმედებდა, სადაც სოფლის ახალგაზრდობა სრულ საშუალო განათლებას იღებდა. დღეისათვის სოფელში ორი საშუალო სკოლაა, რომლებშიც ათასზე მეტი მოსწავლე სწავლობს. ორივე სკოლა სამართლიანად ამაყობს თავის კედლებში აღზრდილი მრავალი გამოჩენილი ადამიანით. სხვადასხვა წლებში შილდაში აღიზარდა მეცნიერებათა ასამდე კანდიდატი, დოქტორი, პროფესორი და აკადემიკოსი, მრავალი ცნობილი მოღვაწე. მათ შორის არიან აკადემიკოსები მათე და გურამ მირიანაშვილები, ვახტანგ კოკილაშვილი, პროფესორები სოსო შათირიშვილი, დურმიშხან ჩიტაშვილი, აბესალომ ყურაშვილი, ჯემალ ბაბაკიშვილი, დოცენტები გურამ ყურაშვილი, გაიოზ ჭანკვეტაძე და მრავალი სხვა.

ალბათ, შილდელი კაცი სიმღერასთან ერთად დაიბადა. სიმღერა შესისხლხორცებული ჰქონდათ შილდელებს, რაც თავისთავას მეტყველებს მათს მაღალ კულტურაზე. შილდაში დაიბადა და აღიზარდა ქართული კულტურის დიდი მოამაგე და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ლადო აღნიაშვილი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ქართული ხალხური სიმღერების აღდგენა და პირველი ქართული ხალხური სიმღერის გუნდის შექმნა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ეს იყო მის მიერ თბილისში 1885 წელს დაარსებული „ქართული საერო ხორო“. როგორც იმდროინდელი წერილობითი წყაროები იუწყებიან, ამ გუნდში ძირითადად სემინარიის მოსწავლეები მღეროდნენ, მაგრამ ლადო აღნიაშვილს შილდიდანაც ჩაუყვანია გლეხი მომღერლები — ლევან ასაბაშვილი (დედას ლევანა), ბათო როსტომაშვილი, ალექსი ელოშვილი (ოსტატი ალექსა) და ლაზარე კოკილაშვილი. შემდგომში ამ გუნდში უმღერიათ ზაქარია და ივანე ფალიაშვილებს, ია კარგარეთელს, ვანო სარაჯიშვილს. გუნდის მხატვრულ ხელმძღვანელად კი ლადოს მოუწვევია ჩეხი მუსიკოსი იოსებ რატილი. ლადო აღნიაშვილის მიზანი იყო ქართული ხალხური სიმღერის პროფესიულ დონემდე აყვანა და კიდევაც მიაღწია მიზანს. პირველ კონცერტს კი, რომელიც 1886 წლის 26 დეკემბერს გამართულა თბილისის ქართულ თეატრში, საყოველთაო აღფრთოვანება გამოუწვევია იმდროინდელ საზოგადოებაში. დიდი ილია ჭავჭავაძე ამასთან დაკავშირებით წერდა, რომ „მადლობა გვმართებს ბატონ აღნიაშვილისა, რომელმაც ეს მართლაც სახელოვანი საქმე იკისრა, შეჰყარა ხორო, გაგვიმართა კონცერტი და დაგვატკბო იმ მივიწყებულის ხმებით, რომლითაც მღეროდნენ ჩვენი წინაპარნი და რომელსაც იმ ღამეს ისეთი აღტაცებით ისმენდა თეატრში შეყრილი საზოგადოება“. ხოლო საქართველოს ბულბულმა აკაკი წერეთელმა 1897 წელს შილდაში სტუმრად ყოფნისას აღნიშნა: „მას უნდა ვმადლოდეთ, რომ ქართული სიმღერა იხსნა გადაგვარებისაგან, შეუნარჩუნა ძველებური ჟღერადობა. ღმერთმა ადღეგრძელოს ხმატკბილი აღნიაშვილი“.

შილდელების სიყვარული ქართული ხალხური სიმღერებისადმი არც შემდგომში განელებულა. პირიქით, ლადო აღნიაშვილის მოღვაწეობამ მის განვითარებას კიდევ უფრო მეტი სტიმული მიანიჭა. გასული საუკუნის 30-იან წლებში შილდაში ჩამოვიდა დიდი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, რომელიც კახეთში მოგზაურობდა ხალხური სიმღერების ჩასაწერად. როცა შილდელ მომღერლებს მოუსმინა, გაოცებით უთქვამს: „მე ამისთანა მწყობრად შესრულებული კახური სიმღერა ჯერ არ გამიგონიაო“. მაშინ შილდაში ბევრი მართლაც კარგი შემსრულებელი ყოფილა: ლევან ასაბაშვილი (დედას ლევანა), ბათო როსტომაშვილი, ალექსი ელოშვილი (ოსტატი ალექსა), ლაზარე კოკილაშვილი, ნინია ელოშვილი, მიხა ირემაშვილი, მიტა დეკანოზიშვილი, ალექსი დელექსიშვილი, სიკო ხატიაშვილი, არჩილ უტურაშვილი. „გადამეტებით არ ვიტყვი, ამისთანა მომღერლებს პირადად მე არასდროს არ შევხვედრივარ, თუმცა ბევრი ქართველი მომღერლისათვის დამიგდია ყური. შედარებით ესენი ბევრად მათზე მაღლა მდგარან, როგორც ხმით, ისე სიმღერის ცოდნით და ბუნებრივი მუსიკალური სმენით, ამათგან ჩავიწერე 15-მდე სიმღერა, ზოგი ჯერ კიდევ ჩაუწერავი, ზოგიც უკვე ჩაწერილი“, — უთქვამს გაოცებულ და აღტაცებულ ზაქარია ფალიაშვილს.

შილდას ამის შემდეგ კიდევ ერთი ცნობილი კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი სწვევია. როცა შილდელების მიერ შესრულებული „ჭონა“ მოუსმენია, მას უთქვამს: „გესმით, ხალხნო, რა მდიდრები არიან და რა ღარიბულად აცვიათ, რა მაღალი ხმა აქვთ და რა ჩუმად ლაპარაკობენ, რამოდენა გულები აქვთ და თავდახრილნი დადიან. ამათი ხმა რომ ცნობილ პროფესორებს დაემუშავებინათ, კარუზოსა და შალიაპინს ამოუდგებოდნენ გვერდშიო“.

შილდელ ხალხურ მომღერლებს შორის განსაკუთრებით გაითქვა სახელი დედას ლევანამ (ლევან ასაბაშვილმა), რომელიც ქართულ-ხალხური სიმღერების უბადლო მცოდნე და შემსრულებელი იყო. მას ჰქონია ფართო დიაპაზონის, ძლიერი, მომხიბლავი ტენორი, მღეროდა მოძახილს. დიდი ოსტატობით ასრულებდა კახური სიმღერების კლასიკურ ნიმუშებს — „ჩაკრულოს“, „მრავალჟამიერს“, „ჩონგუროს“, მაყრულებს და სხვა. 1927 წელს მოეწყო დედას ლევანას საჯარო გამოსვლა თბილისში, რუსთაველის თეატრის სცენაზე, შილდელ მომღერლებთან ერთად, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ მუსიკალურ საზოგადოებაზე. დედას ლევანას ტრადიციებზე აღიზარდა ქართული თანამედროვე ესტრადის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს დამსახურებული არტისტი მერი შილდელი, რომლის სახელიც ათეული წლების მანძილზე არ ჩამოსულა ქართული ესტრადის აფიშიდან. იგი ქართული რომანსების შეუდარებელი შემსრულებელი იყო. ქართული ესტრადის ოქროს ფონდშია შესული მისი „მუხამბაზი“, „შენს სიყვარულს დავიფიცებ“, „პაემანზე“ და სხვა.

მაღალი კულტურისა და ტრადიციების შესაბამისად შილდაში ათეული წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდა კულტურის სახლი. ერთ დროს აქ მოქმედებდა დრამატული წრე, იდგმებოდა სპექტაკლები, კონცერტები და სხვა ღონისძიებები. სამწუხაროდ, ეს ყოველივე ბოლო წლებში დავიწყებას მიეცა. ასე, რომ კულტურის ამ კერის მოსაწესრიგებლად და ტრადიციების აღსადგენად სერიოზული ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო.

შილდაში, როგორც უძველეს სოფელში, დღემდე შემონახულია ტრადიციული რელიგიური და სახალხო დღესასწაულები, რომლებსაც მასობრივი ხასიათი აქვს. 7 იანვარს აღინიშნება რელიგიური დღესასწაული“ნეკრესობა“, 27 იანვარს „ნინოობა“, 20 მაისს „მაისობა“, 21 მაისს „კოხიაობა“. ნეკრესობა შობის დღესასწაულია და ისტორიული ნეკრესის შემოგარენში იმართება. „ნინოობა“ წმინდა ნინოს სალოცავთან, სოფლის სამხრეთი ნაწილის, ე.წ. ვეძისხევისა და ტურისციხის უბნების მოსახლეობის დღესასწაულია. „მაისობა“ აღინიშნება სოფლის ცენტრში, მდ. ჩელთის მარცხენა სანაპიროზე, ე.წ. „ბულვარდის“ ტერიტორიაზე არსებული ძელჭეშმარიტის ეკლესიის მიდამოებში და ეჭვის გარეშეა, რომ ეს დღესასწაული სწორედ ამ ძლიერ სალოცავს უკავშირდება, რომელიც, სამწუხაროდ, გასული საუკუნის 30-იან წლებში დაუნგრევიათ ბოლშევიკ აქტივისტებს. „კოხიაობა“ სოფლის ჩრდილოეთი ნაწილის მოსახლეობის დღესასწაულია და სოფლის თავში მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიის მიდამოებში იმართება. გარდა ამისა, შემორჩენილია და ტრადიციულად იმართება „ალილოობა“ და სახალხო თეატრალური წარმოდგენა-დღესასწაულები „ბერიკაობა“ და „ყეენობა“. ბოლო წლებამდე შემორჩენილი იყო აგრეთვე „დიდება“, რომელიც იმართებოდა ხანგრძლივი და მძიმე გვალვების, ან გადაუღებელი წვიმების პერიოდში, როცა სოფლის უბან-უბან მოსიარულე ფეხშიშველი ქალები გარკვეული რიტუალების შესრულებით და დიდების გალობით ამინდის ღვთაება ლაზარეს გვალვაში წვიმას შესთხოვდნენ, ავდარში კი გამოდარებას. შეგროვილი თანხით ნაყიდ „საღვთოს“ კი სწირავდნენ ელიას. იმ იმედით, რომ მათ თხოვნას შეისმენდა, ამჟამად ეს რიტუალური პროცესია თითქმის დავიწყებასაა მიცემული.

ძირითადად ასეთია სოფელ შილდის ისტორია, ტრადიციები და შემონახული ზნე-ჩვეულებები. ერთი ჭეშმარიტება უდავოა: შილდა და შილდელები უძველესი დროიდან ატარებდნენ ქართული გენისათვის დამახასიათებელ მებრძოლ სულისკვეთებასა და შრომისმოყვარეობას, რომელიც არ განელებიათ უკიდურესი საფრთხისა და გაჭირვების ჟამსაც კი. რწმენის სიმტკიცე, სულიერი გაუტეხლობა, სამშობლოს ერთგულება, მოყვასის სიყვარული, ჭირსა და ლხინში თანადგომა, მაღალი კულტურა და ქრისტიანული ზნეობა განგების ძალას უხვად გაუმეტებია შილდელებისათვის, რითაც დღესაც სამართლიანად ამაყობს ეს კურთხეული სოფელი.

გასაგები მიზეზების გამო, დიდ ინტერესს იწვევს ამ ისტორიულ ქარტეხილებში გამოვლილი სოფლის დაარსების თარიღი. სამწუხაროდ არ არესებობს ზუსტი ცნობა, თუ რომელ საუკუნეში და წლებშია სოფელი შილდა დაფუძნებული. თუმცა ზოგიერთი ისტორიული ცნობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ შილდას, როგორც დასახლებულ პუნქტს, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

ამ მხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავს შილდელი თავადების რუსიშვილების გენეალოგია. რუსიშვილები საკმაოდ გავლენიანი თავადები ყოფილან კახეთში, ცნობილმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა, უფლისწულმა ვახუშტი ბაგრატიონმა (1696-1757 წ.წ.) თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, კახეთის 13 სათავადო გვარს შორის რუსიშვილთა საგვარეულო მერვე ადგილზე დასახელდა. მისი ცნობით ეს გვარი გახლდათ ერთ-ერთი „უწარჩინებულეს და შემძლებელ“ ქართულ თავადურ საგვარეულოთა შორის.

უფლისწულმა იოანე ბაგრატიონმა (1768-1820 წ.წ.) თხზულებაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, რუსიშვილების საგავარეულო 24 სათავადო გვარს შორის, ასევე მერვე ადგილას მოიხსენია, ხოლო მათი წარმომავლობის შესახებ აღნიშნავს, რომ „ესენი არიან დროისა თამარ მეფისასა, რომელიცა მოჰყვნენ რუსთა მეფის ძესა, რომელიც ექორწინა თამარ მეფესა ქრისტეს აქეთ 1177 წელსა და თამარ მეფემან ამა რუსის შვილს, რუსთავ წოდებულის გვართა, უბოძა რუსიშვილობა და თავადობა და აწ არიან შილდას მოსახლენი“.

ცნობილი არ არის რომელ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გვაწვდის იოანე ბატონიშვილი რუსიშვილთა საგვარეულოს წარმომავლობის შესახებ აღნიშნულ ვერსიას, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ალბათ ექნებოდა ამის საფუძველი. ის კი რეალური ფაქტია, რომ მეთხუთმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში რუსიშვილთა საგვარეულოს არაერთი ცნობილი წარმომადგენელი მოიხსენება, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობდნენ კახეთის სამეფო კარზე, სადაც ეკავათ ყორჩიბაშის, მდივანბეგის, მოლარეთუხუცესის, ბოქაულთუხუცესის, ბაზიერთუხუცესის, მოურავისა და ნაზირის თანამდებობები. მათ ვხედავთ აგრეთვე სასულიერო ასპარეზზეც, სადაც ზოგიერთ მათგანს ნეკრესის ეპისკოპოსის თანამდებობაც კი ეკავა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსიშვილები შილდელი თავადები იყვნენ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოფელი შილდა, როგორც დასახლებული პუნქტი, თუ უფრო ადრე არა, მეთხუთმეტე საუკუნეში მაინც რეალურად უნდა არსებულიყო. ამ მოსაზრებას უტყუარად ადასტურებს საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის 26-ე ტომში მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად დაშლის შემდეგ შექმნილი კახეთის სამეფოს პირველი მეფის გიორგი I-ის (1466-1476 წ.წ.) მიერ ჩამოყალიბებულ სამოურავოთა შორის ერთ-ერთი იყო შილდა-ყვარლის სამოურავო, ანუ, თუ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში ყალიბდება შილდა-ყვარლის სამოურავო, როგორც სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი ადმინისტრაციული ერთეული, ეს იმას ნიშნავს, რომ შილდა მანამდეც გაცილებით ადრევე უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი, სხვა შემთხვევაში ის სამოურავოდ ვერ იქცეოდა.

საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს იმის ვარაუდიც, რომ თუ რუსიშვილებს თავადობა მე-12 საუკუნეში თამარ მეფემ უბოძა, როგორც წესი, თავადობის წოდებასთან ერთად ყმა-მამულებსაც უბოძებდა. ეს ყმა-მამულები კი ისევ შილდასთან იყოს დაკავშირებული, რადგან რუსიშვილები ძირძველი შილდელი თავადები იყვნენ და ისტორიულად ისინი საქართველოს სხვა კუთხესა თუ რეგიონში არსად ფიქსირდებიან. ასე, რომ შილდის დაარსების ისტორია არაუგვიანეს მეთორმეტე საუკუნეში უნდა იწყებოდეს. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს თუნდაც ის ფაქტი, რომ აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია დღევანდელი შილდისა და ენისლის მიდამოებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც გვიანდელი ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ეს კი უძველესი დასახლების არსებობის უტყუარი ნიშანია.

**ალიმან ლაფაჩიშვილი**







# ნუშის სასარგებლო თვისებების გამოყენების და მოვლის შესახებ



ამბობენ, მისი სამშობლო ჩინეთიაო. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც: მისი სახელი (ცხადია, არა ქართული ვარიანტი) ფინიკიელი ქალღმერთის ამიგდალის სახელისგან წარმოიშვა, რომლის სახის ფერიც ნუშის ყვავილს მოგაგონებდათ, ამიტომ მცენარეც ფინიკიური წარმოშობისააო. თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთ ჰიპოთეზასაც კი მოისმენთ, თითქოს ნუში მთელ მსოფლიოში კავკასიიდან გავრცელდა. ასეა თუ ისე, ეს მცენარე დღეს დედამიწის ლამის ყოველ კუთხე-კუნჭულში ხარობს. სადაც არ ხარობს, უცხოეთიდან შეაქვთ...

ევროპაში ნუშს „სამეფო თხილს" უწოდებდნენ, რადგან პირველად მეფის კარზე დააგემოვნეს, თუმცა ევროპელი არისტოკრატები ამ სიამოვნებას ვერ ეღირსებოდნენ, რომ არა მარკო პოლოს მახვილი მზერა: აზიაში ხეტიალისას სახელგანთქმულმა მოგზაურმა ერთ-ერთ ფერდობზე ნუში შეამჩნია, იგემა მისი ნაყოფი და შინ დაბრუნებისას ხელს გამოაყოლა. ნუშს ხმელთაშუაზღვისპირეთის ნიადაგი ფრიად ეამა...

ესპანელმა მისიონერებმა XVIII საუკუნის შუა წლებში სამეფო თხილი კალიფორნიელებს გააცნეს. ამჟამად ნუშს ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ეს შტატი აწარმოებს.

ესპანეთსა და პორტუგალიაში ნუშის ყვავილობას საგანგებოდ ზეიმობენ, თუმცა მხოლოდ იქ როდი მიაგებენ ესოდენ პატივს თხილეულის ამ უგემრიელეს წარმომადგენელს.

ძველ ეგვიპტეში ნუშის ზეთი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ ითვლებოდა. მას ბარაქის მომტანი რიტუალების დროს იყენებდნენ: ნუშის ზეთში ავლებდნენ ფულს, სანთლებს, ამატებდნენ საკმეველს... იქაურობა „ბარაქის მომტანი" კვამლით იყო გაჟღენთილი.

ძველ სოგდიანაში, თანამედროვე უზბეკეთისა და ტაჯიკეთის ტერიტორიაზე, ნუშის ხის ტოტებს ღმერთებს სწირავდნენ და შვილების ჯანმრთელობას შესთხოვდნენ.

ძველ რომში ნუში ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლებოდა. ისიც კი ეგონათ, მისი ნაყოფი სქესობრივ ლტოლვას აძლიერებსო.

ინდოეთში ნუში უბიწოებისა და ამავე დროს ნაყოფიერების, ცოლქმრული ბედნიერების სიმბოლოდ იყო აღიარებული. ინდოელებივით ფიქრობდნენ ფრანგებიც, ხოლო ინგლისის ზოგიერთ ოჯახში ახლაც იცავენ ძველ ტრადიციას: ქორწილში მიპატიჟებულ ყველა სტუმარს 5-5 ცალ ნუშს ურიგებენ – ამას „პატარძლის საჩუქარი" ჰქვია; ნუში სასაჩუქრე კომპლექტშიც შედის და ჯანმრთელობის, სიმდიდრის, სიმრავლის, ბედნიერებისა და დღეგრძელობის საწინდრად მიიჩნევა.

ბავშვობაში ჩაკნატუნებული ნუშის ნამცხვრის გემო ბევრს ახსოვს. ბევრი ახლაც ვერ უძლებს ცდუნებას – ნუშისგან დამზადებულ ტკბილეულს ხომ განსაკუთრებული არომატი აქვს!

### ნუშიანი შოკოლადი

აიღეთ 500 გ რძიანი შოკოლადი, დაამტვრიეთ, ჯამში ჩაყარეთ და 6-8 წუთით შედგით მიკროტალღურ ღუმელში. ორჯერ მოურიეთ. შემდეგ დაამატეთ 150 გ წვრილად დაჭრილი ქიშმიში და 200 გ დანაყილი ნუში. დაასხით ფართო ჭურჭელზე და გაგრილდება თუ არა, დაჭერით.

### გლოგი

ეს ცხელი ალკოჰოლური სასმელი ასე მზადდება: ქვაბში ჩაასხით ერთი ბოთლი წითელი ღვინო, 60 მლ არაყი, დაამატეთ 65 გ შაქარი, მწიკვი (ან პაწია ნატეხი) დარიჩინი, 6 ცალი მიხაკი, ნახევარი სუფრის კოვზი დაფქული კოჭა, 100-100 გ გატარებული ქიშმიში და ნუში. შედგით ცეცხლზე, შაქრის გადნობამდე გააჩერეთ, გადმოდგით, გააგრილეთ (ასე, ნახევარი საათი აცადეთ) და მიირთვით, შემდგომ კი დალევის წინ შეათბეთ.

### ნუშის კანფეტები

დაკუწეთ ბლენდერში 75 გ ფინიკი, 75 გ გარგარის ჩირი (კურაგა), 50 გ ქიშმიში, დაამატეთ 2 ს. კ. ვაშლის წვენი. მიღებული მასისგან გააკეთეთ ალუბლისოდენა ბურთულები და მოხალულ დაკეპილ ნუშში ამოავლეთ.

### ნუშის დოზა

ნუში ჯანმრთელობისთვის ძალზე სასარგებლო რომ იყო, ძველადაც სცოდნიათ. მის მაკურნებელ ძალას თვით ავიცენაც კი აღიარებდა: „ნუში აძლიერებს ტვინის მოქმედებას, აუმჯობესებს მხედველობას, არბილებს ორგანიზმს, აშუშებს ჭრილობებს, წყლულებს"...

ნუშის სამკურნალოდ გამოყენება დღემდე არ შეუწყვეტიათ. მედიცინაში უმთავრესად მის მწარე ჯიშებს იყენებენ, რომლებიც ცხიმოვან მჟავებთან, ცილებს და შაქართან ერთად ამიგდალინის გლიკოზიდსაც შეიცავს. სწორედ ის ანიჭებს ნუშს მომწარო გემოს და ძალზე ტოქსიკურიც არის. წინასწარი დამუშავების გარეშე მწარე ნუშის ჭამა არ შეიძლება, 50 ცალის ჩაკნატუნება კი სიკვდილის ტოლფასია!

გარდა ამისა, ნუში მდიდარია ვიტამინებით (განსაკუთრებით – E ვიტამინით, რომელიც ეფექტური ანტიოქსიდანტია) და მინერალური ნივთიერებებით (რკინით, კალციუმით, თუთიით, მაგნიუმით...).

ნუში რომ უაღრესად სასარგებლოა, თანამედროვე მედიცინაც აღიარებს. ის არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, აუმჯობესებს მხედველობას, ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და კიბოს განვითარების რისკს, აშუშებს გაღიზიანებულ ლორწოვან გარსს (ეფექტურია ანგინის, სტომატიტის დროს) და ასტიმულირებს კუჭში სასარგებლო ბაქტერიების გამომუშავებას, რომლებიც საჭმლის მონელებაში მონაწილეობენ.

ნუში განსაკუთრებით სასარგებლოა კანისთვის, ამიტომ მისი ზეთი მრავალი კოსმეტიკური საშუალების შემადგენლობაში შედის.

ნუშის ზეთს სხეულის მოსავლელად ათასობით წელია იყენებენ, თუმცა მისი უნიკალური შემადგენლობა სულ ათიოდე წლის წინ გაშიფრეს. აღმოჩნდა, რომ ნუშის ზეთი მდიდარია: ჯგუფის, A, და F ვიტამინებით, უჯერი ცხიმოვანი მჟავებით, ცილებით, მინერალებით, გლუკოზით, ემულსინით (ფერმენტია), ლეციტინით, მრთმილავი ნივთიერებებით.

ნუშის ზეთში შემავალი ვიტამინი, რომელსაც ანტიოქსიდანტური (თავისუფალი რადიკალების შემბოჭავი) თვისებები აქვს, ხელს უშლის უჯრედების დაბერებას, აცხრობს ანთებით პროცესს, გარდა ამისა, აუმჯობესებს ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქციას, ხელს უშლის ფორების გაფართოებას, ასტიმულირებს თმის ზრდას, ანიჭებს მას მოქნილობას და ბზინვარებას.

ოლეინის მჟავა (ამ უნიკალური ნივთიერების შემცველობა ნუშში 82%-ია) ზრდის კანის შეღწევადობას, ხელს უწყობს ქსოვილში ნივთიერების თანაბარ განაწილებას, ამიტომ იოლად შეიწოვება და ეფექტურად კურნავს კანს.

ნუშის ზეთზე დამზადებული კოსმეტიკური საშუალებები იდეალურია მგრძნობიარე, გამომშრალი და გაუხეშებული კანისთვის, რადგან ეფექტურად ატენიანებს კანის ქსოვილს, აცხრობს გაღიზიანებას, სიწითლეს, გამონაყარს, ამავე დროს საუკეთესო მკვებავია ტონუსდაკარგული, მოდუნებული კანისთვის და, რაც მთავარია, ეფექტურად ებრძვის ნაოჭებს, რაც ზეთის აღმდგენი თვისებების დამსახურებაა: ნუშის ზეთში შემავალი ნივთიერებები გამომშრალი, სიცოცხლედაკარგული უჯრედების ჩამოფცქვნას და ახლების გამრავლებას უწყობს ხელს.

ნუშის ზეთი თოთო კანისთვისაც მარგებელია: ხსნის გაღიზიანებას, აქრობს ანთებას, არბილებს და კვებავს კანის ქსოვილს. ამიტომაც არის, რომ უხვად ამატებენ ბავშვის კანის მოსავლელ საშუალებებს.

### ნუშის ზეთის ნიღბები

● დასველებულ და საგულდაგულოდ გაწურულ ბამბის ქსოვილის ხელსახოცზე დაასხით 20-25 მლ ნუშის ზეთი, დაიფინეთ სახესა და კისერზე, ზემოდან კი პირსახოცი გადაიფარეთ. გაიჩერეთ 20-30 წუთი. ამ ნიღბის გაკეთებას თვეში 1-2-ჯერ გირჩევთ. ის განსაკუთრებით სასარგებლოა ასაკოვანი, დეკორატიული კოსმეტიკით გაღიზიანებული კანისთვის.

● 2-3 ს. კ. შვრიის ფქვილს დაასხით ცხელი წყალი – იმდენი, რომ არაჟნისმაგვარი მასა მიიღოთ. დაამატეთ 5-10 მლ ნუშის ზეთი, 2-3 წვეთი ლიმონის, ვარდის, სანდალოზის ან 1-2 წვეთი სანდალოზის, ფორთოხლის, პაჩულისა და ვარდის ხის ეთერზეთები.

### ნუში თმისთვის

● თუ ცხიმიანი თმა გაქვთ, შეიზილეთ თმაში ნუშის ზეთი დაბანამდე რამდენიმე წუთით ადრე და თანაბრად გაანაწილეთ თმის მთელ სიგრძეზე – დაიწვეთეთ ძირებზე და ჩამოივარცხნეთ. მეტი ეფექტისთვის 1 ს. კ. ნუშის ზეთს 2-2 წვეთი ბერგამოტისა და ლიმონის ან კვიპაროსისა და კედრის ეთერზეთები დაამატეთ.

● მშრალი თმის შემთხვევაში კი გირჩევთ, ნუშის ზეთი დაბანის შემდეგ შეიზილოთ. შეგიძლიათ, 10 მლ ზეთს 5-5 წვეთი ილანგ-ილანგისა და ფორთოხლის ან მანდარინისა და სანდალოზის ეთერზეთები დაამატოთ.

● ქერტლის დროს შეიზილეთ თმაში 2 ს. კ. (სასურველია, ეთერზეთებდამატებული) ნუშის ზეთი, გაიჩერეთ 15-60 წუთი და შამპუნით ჩამოიბანეთ.

კაკლოვანი კულტურების პროდუქცია მიეკუთვნება იმ იშვიათ სახეობას, რომლის ფასები მსოფლიო ბაზარზე ზრდის სტაბილური ტენდენციით ხასიათდება. პერმანენტულად იზრდება ფასები ბერძნულ კაკალზე, თხილზე, პეკანზე, გინკორზე, ნუშზე, მაკადამიაზე, ბრაზილიურ თხილზე, ფსტაზე, კაშევზე და სხვ.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ამ პროდუქციაზე სტაბილური მოთხოვნა და ფასების სტაბილური ზრდა ევროკავშირის ქვეყნებში, მაგ.: 1 კგ ბრაზილიური თხილის და მაკადამიას ფასმა უკვე 35 ევროს გადააჭარბა.

ნუშის კულტურა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4 ათასი წლის წინ ფინიკიელების წყაროებში არის აღწერილი, როგორც „მაგიდის დამამშვენებელი" ხილი. პირველად ევროპის ქვეყნებს შორის ნუში საბერძნეთში შეიტანეს აზიის ქვეყნებიდან. ბერძენი მეცნიერი ატენეა აღნიშნავდა, რომ „იუპიტერის რკო და მბრწყინავი ნუში ჩვენთან შემოჰქონდათ მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილის მცხოვრებლებს — პაფლაგონელებს".

ნუშის შეტანა საბერძნეთში უკავშირდება ისტორიამდელ ხანას, რასაც ადასტურებს ფესალიაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ხეხილოვანი კულტურებიდან აღმოჩენილი მწარე ნუში. ძველ ათინელებს კი ნუშის ხე, როგორც ყველაზე ადრე მოყვავილე მცენარე, მიჩნეული ჰქონდათ ნაყოფიერების სიმბოლოდ და სხვა „მცენარეულ და ცხოველურ ღმერთთა" შორის ნუშის ხესაც აღმერთებდნენ. ამავე პერიოდში, ვინაიდან ნუშზე მოთხოვნილება ძალიან გაიზარდა, იგი გავრცელდა ალჟირში, ტუნისში, მაროკოში, ხოლო მე-9 საუკუნეში ნუშის კულტურა, როგორც „აღმოსავლეთის კაკლის ხე", ცნობილი გახდა ბრიტანელებისთვის.

რაც შეეხება თანამედროვე პირობებს, ნუშის კულტურა ამჟამად სამრეწველო ბაღების სახით გავრცელებულია სამხრეთ ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, საბერძნეთში და ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე – კორსიკაზე, სარდინიაში, სიცილიაზე, კიპროსზე, კრიტოსზე, საბერძნეთის არქიპელაგის კუნძულებზე და ამერიკაში კი — კალიფორნიაში.

საქართველოში ნუშის კულტურა ფართოდ ყოფილა გავრცელებული ძირითადად, სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მთისწინეთში, როგორც საოჯახო ხე-მცენარე, რომელიც თითქმის ყველა ეზოში ჰქონდათ დარგული. ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" სხვა ხილთან ერთად ნუშიც არის მოხსენიებული: „ხოლო ხილი წალკოტთა მრავალნი, ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთის ხილი, ბროწეული, ყურძენი, ვაშლატამი, ყაისი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ბუსტული (ფსტა), ქლიავი მრავალგვარი, ლეღვი"...

მე-13 საუკუნეში „წიგნი სააქიმოის" ფურცლებზე, სხვადასხვა სახის მრავალი დაავადების საწინააღმდეგო წამლის გვერდით, დასახელებულია როგორც თვით ნუში, ასევე მისი ზეთიც. მაგალითად, თირკმლის ტკივილის, ყურის დაავადების, შარდსადენი გზების, კანისა და სხვა დაავადებების მკურნალობისთვის.

ნუშის კულტურა ქართულ უძველეს ისტორიოგრაფიულ წყაროებში მოხსენიებულია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამი ათასი წლის წინ, მნიშვნელოვანია ამ კულტურის ნაყოფების მაღალი სასაქონლო, სამეურნეო, კომერციული და კვებითი ღირებულებები, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ კულტურის გაშენების მიზანშეწონილობას.

ნუში ეკუთვნის ვარდყვავილოვანთა ოჯახს და ტყემლისებრთა ქვეოჯახს. ნუშის გვარში გაერთიანებულია 40-ზე მეტი სახეობა. საქართველოში ცნობილია ნუშის ადგილობრივი ჯიშები, როგორიცაა: გუკა, შირაქულა, ძეგვური, შაქარა, თხელნაჭუჭა, ლისი და სხვ. მეტად პერსპექტიულად ითვლება ნუშის გარეული სახეობა, ქართული ნაგალა ნუში-მყგდალუს გეორგიცა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშია გავრცელებული, ძირითადად კი გვხვდება ტირიფონაზე, ნადარბაზევის ქედზე, ალაზნის, სამგორისა და უდაბნოს ველზე. ნუში შესანიშნავი თაფლოვანი მცენარეა, ადრე ყვავილობის გამო იგი ფუტკრისათვის კარგ საკვებ ბაზას წარმოადგენს.



ნუშის ხის ოპტიმალური სიმაღლე 8 მეტრამდე აღწევს. მისი ფოთლები წააგავს ატმის ფოთლებს, რომლებიც მოკლე ლანცეტისებრია. ყუნწი მოკლეა, ფოთლის ფუძესთან აქვს 2-4 ჯირკვალი. ვარჯი სხვადასხვაგვარია, მეტწილად არასწორი, ხანდახან განიერპირამიდული. ფოთლის ფორმის მიხედვით არჩევენ ტკბილ, საშუალო და მწარე გემოს ნუშის ჯიშებს.

ნუშის ნაყოფი კურკაა, რომელიც მოთავსებულია მწვანე ან ღია მწვანე შეფერვის შებუსვილ ნაყოფგარემოში, რომელიც ნაყოფის სიმწიფის პერიოდში სკდება ნაწიბურის მხრიდან და ნაყოფი თავისუფლდება კანისაგან. იმ ნაყოფს, რომელიც ვერ ასწრებს დამწიფებას ნაყოფგარემო შედარებით თხელი სისქის ვითარდება და სრული სიმწიფის დროსაც კურკას ძნელად სცილდება. ამიტომ პლანტაციების გაშენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ამ კულტურის მისწრაფება ოპტიმალური განათებულობისადმი.

ნუშის გული გემოს მიხედვით დაყოფილია 3 ჯგუფად: კარგი, საშუალო და მდარე გემოსი. უმეტესობას კარგი და სასიამოვნო გემო აქვს, ზოგიერთ ჯიშში აშკარად შესამჩნევია შაქრის მეტი შემცველობა, ზოგს კი ოდნავ სიმწარე და მწარე არომატიც აქვს, მაგრამ მწარე არ არის თუ დამძაღებული არ არის.

ნუშის ნაყოფის თანამედროვე სტანდარტის გარდა, სამრეწველო ასორტიმენტში, აგრონომიული თვალსაზრისით ნუშის ჯიში უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ნაჭუჭი უნდა იყოს თხელი, რბილი, ფხვიერი ან სტანდარტული ტიპის. გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია მაგარნაჭუჭიანი ჯიში, როგორც უხვმოსავლიანი.

გულის გამოსავალი უნდა შეადგენდეს 40%-დან 65-70%-მდე, ხოლო ზეთის შემცველობა არანაკლებ 45-50%-ისა მშრალ ნივთიერებაზე გადაყვანით. გემო უნდა ჰქონდეს კარგი და სასიამოვნო. საქართველოში გავრცელებული ჯიშებიდან პერსპექტიულად ითვლება საგურამოს 135, თბილისის 204, სოღანლუღის 172 და 209, მცხეთის 80 და 207 (ლაშხაური), ხირსის 175, ნიჩბისის 87, კოდის 144, საბურთალოს ნუში და სხვ.

ნაყოფი ხასიათდება განსხვავებული ფორმებით, ძირითადად მრგვალი, კონუსისებური ან ოვალურია, მსხვილი და ბლაგვი წვერით. ნაჭუჭი სხვადასხვა სისქისა და სიმკვრივისაა ,რომელშიც მოთავსებულია გული, რომელიც დაფარულია ღია-მოყავისფრო კანით. კანგაცლილი ნუშის გული მოგრძო-მომრგვალოა და თეთრი ფერისაა.

ნუში, სხვა კაკლოვან კულტურებთან შედარებით, უფრო მეტ სითბოს მოითხოვს და მეტი სიმშრალის ამტანია. იგი ფართოდაა გავრცელებული და გამოიყენება როგორც ნედლ ხილად-ნუგბარად, ისე საკონდიტრო მრეწველობაში და მედიცინაში. განსაკუთრებით ძვირფასია ნუშის ზეთი, რომელსაც მრავალმხრივი გამოყენება აქვს.

ნუში ტიპიური სამხრეთი განედების კულტურაა. მის სამშობლოდ წინა და შუა აზია ითვლება, მეცნიერები მის სამშობლოდ კავკასიასაც ასახელებენ. უფრო გვიან ის გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. ამჟამად ეს კულტურა ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ტუნისში, სადაც გამოყვანილია რამდენიმე საინტერესო ახალი ჯიში.

ჩვეულებრივი ნუში ეკუთვნის საშუალო სიმაღლის მრავალწლოვან ფოთოლმცვივან ხე — მცენარეს, ვარჯის დამახასიათებელი ფორმა განიერპირამიდულია, ფოთოლი ლანცეტისებრია, ფოთოლთასიანი, წვრილად დაკბილული კიდეებითა და პატარა ყუნწებით. ნაყოფი კურკაა, რომელიც მოთავსებულია მწვანე მშრალ ნაყოფგარემოში – ლენჯოში, რომელიც მოფენილია ნაცრისფერი ხავერდოვანი ბუსუსებით. ნუშის დამწიფებისას ნაყოფგარემო სკდება, კურკა მას მთლიანად სცილდება და ძირს ვარდება.

ნუშის ნაჭუჭი სხვადასხვა სისქის არის — 0,5-დან 5 მმ-მდე და სხვადასხვა სიმაგრის, ზოგი სიფრიფანა და ზოგიც ისეთი მაგარი, რომ ჩაქუჩითაც ძნელად ტყდება. სხვადასხვა კაკლოვნების ნაყოფებთან შედარებით, გარჩეულ ნუშზე 21-ე საუკუნის დასაწყისიდან საერთაშორისო ფასები განსაკუთრებით გაიზარდა, მიუხედავად ზოგიერთი ქვეყნის მოსავლიანი წლებისა და დონისა. ნუშის საქართველოდან ექსპორტისათვის საჭიროა პროდუქციას ჰქონდეს საერთაშორისო სერთიფიკატი ლობალ .

ნუშის ხე ივითარებს ძლიერ ფესვთა სისტემას, ზრდასრული ხის ფესვები დაახლოებით 6 მეტრამდე ჩადის ნიადაგში და ვრცელდება ჰორიზონტალურადაც. ფესვის განვითარების ასეთი სიღრმე და სიგანე ნუშს საშუალებას აძლევს გამოიყენოს საკვები ელემენტების და წყლის ის უმცირესი მარაგიც კი, რომელიც სხვა მსგავსი კულტურებისათვის შესაძლოა მიუწვდომელი იყოს. ამ მხრივ ის ძალიან გავს ფსტას, რომელიც ანალოგიურ ფესვთა სისტემას ივითარებს. ეს თვისება მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ კულტურების გვალვაგამძლეობას. ნუში კარგად ვითარდება კირით მდიდარ ნიადაგებზე, ასევე კარგად ვითარდება მცირედ დამლაშებულ ნიადაგებზეც, რამაც განაპირობა მისი ალაზნის ველზე გავრცელება.

ნუშის თავისებურებას წარმოადგენს მისი ძალზე ადრეული ყვავილობა, რაც დაკავშირებულია მისი მოკლე ბუნებრივი დასვენების პერიოდთან. რეგენერაცია და ყვავილობა ხშირ შემთხვევაში დაბალი ტემპერატურის პირობებში მიმდინარეობს, ყვავილობის პერიოდიც გახანგრძლივებულია და 2 კვირამდე გრძელდება. ამიტომ ნუში ითვლება შედარებით ყინვაგამძლე მცენარედ, რადგან მას შეუძლია გადაიტანოს ტემპერატურის ხანმოკლე დაცემა მინუს 25 გრადუსამდე.

ნუშის ჯიშების უმეტესობა თვითსტერილურია და ჯვარედინ დამტვერიანებას მოითხოვენ. ამიტომ ნუშის პლანტაციის გაშენებისას საჭიროა მეხუთედი ნერგებისა დაირგოს სხვა ჯიშის, როგორც ეს თხილის შემთხვევაში ხდება. სავეგეტაციო პერიოდი 200 დღემდე გრძელდება.

გაგრძელება მე-5 გვ. -ზე





დასაწყისი მე-4 გვ.-ზე

ნუშის თესლნერგები მსხმოიარობაში შედის დარგვიდან 4-5 წელიწადში, ხოლო ნამყენი ნერგები მე-3 წლიდან. 15 წლიანი ნუშის ხე, ნორმალური განვითარების შემთხვევაში შედის სრულმსხმოიარობაში, მაგრამ ეს პერიოდი დიდხანს არ გრძელდება. 30-40 წლის შემდეგ ხეები იწყებენ მოსავლიანობის კლებას და შემდგომი 60 წელი დაბალ მოსავალს იძლევიან. საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში ვხვდებით საუკუნოვან ნუშის ხეებს.

საქართველოში ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს ზოგიერთი ზემოთ აღნიშნული კულტურების პლანტაციების გაშენება. ნუშთან ერთად საექსპორტოდ აშენებენ აგრეთვე ზეთისხილის, ბროწეულის, მოცვისა და სხვა სახეობის კულტურებს. ამჟამად ესპანელი ინვესტორები დედოფლისწყაროს რაიონში ნუშის კულტურას 1000 ჰექტარზე აშენებენ, ხოლო მომდევნო წლებში ეს ფართობი 10-ჯერ გაიზრდება.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში გთავაზობთ ნუშის სამრეწველო/კომერციული ბაღის გაშენებისა და მოვლის ტექნოლოგიურ რუქას, რომელიც გათვლილია საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობებისათვის.

საქართველოს მეტად ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობების ოპტიმალურად გამოყენებისთვის, თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, მშრალი სუბტროპიკული კულტურებიდან ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ქვეყანაში ერთ დროს ფართოდ გავრცელებული კულტურების: ლეღვის, ბროწეულის, ალუჩის, გარგარის, ნუშის, ფსტის, უნაბის და სხვათა აღორძინებას.

ამასთან, ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უნდა ვიზრუნოთ ისეთი კულტურების ფართოდ გავრცელებისთვისაც, როგორებიც არის მოცვი, კივი, ჩინური ლიმონურა, ცხრატყავა, ჟოლო და სხვა კენკროვნები. ამ კულტურებთან შედარებით ნუში ყველაზე რენტაბელურად ითვლება.

გამოცდილმა ფერმერებმა იციან, რომ საქართველოში ნუშის გამრავლება, ძირითადად, თესლით ხდებოდა, რომლის დროსაც, ჯვარედინი დამტვერვისა და გარემო პირობების გავლენით, თავს იჩენდა რომელიმე ახალი ნიშან-თვისება და იქმნებოდა ახალი ჯიშური ფორმები.

სელექციის ძირითადი მიმართულება იყო გულის გამოსავლიანობა, რომელიც ჯიშების მიხედვით 15-დან 67%-მდე მერყეობდა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში 72%-მდეც კი. ასეთ კორელაციულ დამოკიდებულებაშია ნუშის ნაჭუჭის სისქე და გულის ზომა ნუშის გულში ცხიმის რაოდენობასთან – სქელნაჭუჭა და პატარა ზომის გულში ცხიმების შემცველობა უფრო მეტია და მერყეობს 48-62% — ის ფარგლებში. საკმაოდ გავრცელებულია (30%) 2-გულიანი ჯიშები, რომლებიც უფრო მხვილნაყოფა ფორმებს ახასიათებს.

### ნუშის გამრავლება ამჟამად თესლითა და მყნობით ხდება

სანერგეებში ნუშს, ძირითადად, ამრავლებენ მყნობით, რისთვისაც იყენებენ თესლიდან აღზრდილ საძირეს. ნიადაგის სხვადასხვა პირობის მიხედვით, საძირედ იყენებენ კურკოვნებს – ატამს, გარგარს, ქლიავს, ტყემალს და თვით ნუშის სხვადასხვა სახეობას, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც იყენებენ ატამს, რომელიც კარგად იტანს ტენის ნაკლებობასაც და ხანმოკლე სიჭარბესაც, ნამყენს ზრდის ნაგალას, მაგრამ სიცოცხლის მოკლე ხანგრძლივობა ახასიათებს.ისეთ რაიონებში, რომლებშიც გრუნტის წყლები ზედაპირიდან ახლო არის, რეკომენდებულია ნუშისთვის საძირედ ტყემლის თესლნერგების გამოყენება. გარგარის გამოყენება ნუშის საძირედ ნამყენის სუსტი შეხორცების გამო დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს, სხვა საძირეს უქონლობის შემთხვევაში. ყველა საძირეს შორის უპირატესობა ენიჭება ჩვეულებრივი მწარე ნუშის საძირეს.

იგი ადვილად იტანს ტენის ხანგრძლივ ნაკლებობას, ზრდის საღსა და ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე ნამყენს, ვერ იტანს და ცუდად იზრდება ჭარბი ტენისა და მჟავე რეაქციის მქონე ნიადაგებში, მართალია, გვალვების შემთხვევაში ახასიათებს ნაკლები ზრდა და შედარებით დაბალი მოსავლიანობა, მაგრამ მორწყვით იგი უზრუნველყოფს მოსავალს. ტკბილი ნუშის საძირედ გამოყენება სასურველი არ არის, ვინაიდან მას ეტანებიან მღრღნელები და სხვადასხვა მავნებლები.

საძირის აღსაზრდელად საჭირო თესლი სასურველია, დამზადდეს საკუთარფესვიანი ხეებიდან, მთისწინა ან მთიან პირობებში, სრული სიმწიფის დროს, საშუალო ზომისა და სავსეგულიანი. დაუშვებელია ორგულიანი თესლის გამოყენება. მშრალსა და გრილ პირობებში შენახული ნუშის თესლი აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 2 წლის განმავლობაში.

ჩვეულებრივი ტექნოლოგიით სტრატიფიცირებული ნუშის თესლი 5 გრადუსი ტემპერატურის პირობებში გაღივებას ასწრებს 40-45 დღის განმავლობაში. სანერგე მეურნეობებში ნუშის თესლი უნდა დაითესოს შემოდგომაზე, უშუალოდ, წინასწარ დამუშავებულ გრუნტში. ამ შემთხვევაში აღმოცენებას გაზაფხულზე იწყებს, მარტის თვეში. დაზიანების საშიშროებაა გაზაფხულის ყინვიანი ქარები. ამის თავიდან ასაცილებლად ახალგაზრდა აღმონაცენს უნდა შემოეყაროს ფხვიერი მიწა, ეს საჭიროა იმისათვის, რომ აგვისტოში, მყნობისათვის, თესლნერგი ძალიან არ გადაიზარდოს და არ გაძნელდეს მყნობის ჩატარება.

თესვა უნდა ჩატარდეს კვების არით 80X15 სმ-ზე, შეიძლება საჭირო გახდეს აღმონაცენის გამოხშირვაც. პატარა სანერგეებში შეიძლება დაითესოს კვების არით 30X15 სმ-ზე.

ნუშის მყნობა აგვისტოში უნდა ჩატარდეს, ხეხილოვნებისათვის მყნობისათვის დადგენილი ვადების ბოლო კვირაში, ვინაიდან უფრო ადრე მყნობის შედეგად კვირტი ილვიძებს, იწყებს ზრდას და ზამთარში იღუპება.

ზოგიერთი დაბლობი ზონისათვის საუკეთესო პერიოდად მიჩნეულია 5-15 სექტემბერი. ნამყენის გაცდენის შემთხვევაში შეიძლება შემოდგომაზე (15-25 სექტემბერი) გადამყნობა, ან მეორე წლის ადრე გაზაფხულზე საძირის გადაჭრა თითქმის მიწის პირას, რაც მოგვცემს ახალ აღმონაცენს და შემოდგომაზე მასზე შესაძლებელი იქნება ახლიდან მყნობა.

მყნობიდან პირველსავე წელს ხდება ნუშის ხის ვარჯის ჩამოყალიბება და შემოდგომაზე ნერგი უკვე მზად არის მუდმივ ადგილზე გადასარგავად. ნუშის ბაღის გასაშენებლად სავალდებულო არ არის სწორი ადგილი, უმჯობესია დაქანებები, უფრო ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობები, რათა შედარებით გვიან დაიწყოს ყვავილობა.

სასურველია კარბონატული ხირხატიანი ნიადაგები, უფრო უკეთესია მსუბუქი და კარგად დრენირებული ნიადაგები. მიუხედავად იმისა, რომ ნუში გვალვაგამძლე მცენარეა, დაგეგმილი მოსავლის მისაღებად ზოგჯერ საჭიროა მისი მორწყვა, რისთვისაც, შესაძლებლობის მიხედვით, სარწყავი ფართობები უნდა შეირჩეს განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც ნალექი მცირე რაოდენობით მოდის. ნუშს რგავენ კვების არით 8X8 მეტრზე ან 8X6 ან 7X5 მეტრზე.

გაშენების დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ნუშის დამამტვერიანებელი ჯიშების შერჩევა და მათი დარგვა ყოველი 4 მწკრივის შემდეგ 1 მწკრივად, ან უნდა გავაშენოთ ნუში თვითგამანაყოფიერებელი (თვითდამტვერავი) ჯიშებით.

ნუშის კულტურის აგროტექნიკის სპეციფიკური ღონისძიება არის ნუშის მოსავლის აღების შემდეგ მისი მორწყვა, რაც გამოიწვევს ვეგეტაციის გახანგრძლივებას, ამით კი — საყვავილე კვირტების გვიან მომწიფებას, მათი ყინვაგამძლეობის გადიდებას და, შესაძლოა გვიან ყვავილობას გაზაფხულზე, რაც მის ყვავილებს დაიცავს გაზაფხულის წაყინვებისაგან.

ნუში გვალვაგამძლე მცენარეა, იგი ძლიერ ფესვთა სისტემას ინვითარებს, რომელიც ნიადაგის ღრმა ფენებში ვრცელდება და საუკეთესო საშულებაა ფერდობების წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან დასაცავად.

თავისი გვალგამძლეობის გამო ნუში შესაძლოა ისეთ ადგილებში გაშენდეს, სადაც სხვა კულტურების გაშენება შეუძლებელია. ამავე დროს იგი მასივების სახით შეიძლება გაშენდეს ნაკლებად ნაყოფიერ, ეროზირებულ ადგილებში როგორც დამცავი საშუალება. ასევე მიზანშეწონილია ნუშის გაშენება ქარსაცავ ზოლებში, გზის პირებზე და სახნავად უვარგის ღრმულებში პატარ-პატარა კორომების შექმნის სახით.

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**

# შტოში ორგანიზმის დაბერების პროცესს აფერხებს



შტოში ბუნებრივ ანტიბიოტიკად მიიჩნევა, მდიდარია ანტიოქსიდანტებით, მასში უხვადაა ასკორბინის მჟავა — C ვიტამინი. ამ კენკრის უნიკალური უნარი — შეაჩეროს ორგანიზმის დაბერების პროცესი სულ ახლახან გახდა ცნობილი. ტრადიციულად შტოშს იყენებდნენ როგორც თავის ტკივილის საწინააღმდეგო საშუალებას მაღალი ტემპერატურის, აგრეთვე სურავანდის დროს. შტოში ავიტამინოზის პროფილაქტიკის არაჩვეულებრივი საშუალებაა. ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობით ის ნამდვილი ჩემპიონია ველურ კენკროვანთა შორის. შტოშის ნაყოფი დიდი რაოდენობით შეიცავს პექტინს, ჯგუფის ვიტამინებს (ისინი განამტკიცებენ ნერვულ სისტემას და დიდხანს უარჩუნებენ სილამაზეს კანსა და თმას), სასარგებლო მიკროელემენტებს: კალიუმს, იოდს, მაგნიუმს, — ფლავონოიდებისა და ვიტამინის მაღალი შემცველობის წყალობით კი ხელს უწყობს ასკორბინის მჟავას სრულ ათვისებას. გაითვალისწინეთ: დუღილის დროს C ვიტამინი იშლება. თუ ამზადებთ შტოშის სასმელს, კენკრა არ უნდა ხარშოთ — ის უნდა გამოწუროთ, წამოადუღოთ შაქართან ერთად მისი ჩენჩო და რბილობი (რათა სასმელს კენკრის ლამაზი, ცეცხლოვანი შეფერილობა მიეცეს) და როცა ნახარში გაგრილდება, ჩაამატოთ მასში შტოშის ცოცხალი წვენი.

შტოშის წვენი კარგია გაციების პროფილაქტიკისთვის და სამკურნალოდ. აქვს სიცხის დამწევი ეფექტი, კლავს წყურვილს, გარდა ამისა, ორგანიზმიდან გამოდევნის ტოქსინებს, რომლებიც ავადმყოფობისას გროვდება. ყელის ტკივილის დროს ძალიან კარგია თაფლით გაზავებული შტოშის წვენი. შტოში ამაღლებს იმუნიტეტს. აურიეთ ერთმანეთში 1 კგ კენკრა და დაჭრილი ვაშლი, 2 ჭიქა ნიგოზი და დაასხით 1 ჭიქა წყლისა და 2,5 კგ შაქრისგან მომზადებული სიროფი. წამოადუღეთ ნარევი ნელ ცეცხლზე 30 წუთის განმავლობაში და გადაიღეთ ქილებში. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი ყოველ დილით და დააყოლეთ თბილი წყალი.

შტოში ზრდის კაპილარების სიმტკიცესა და ელასტიკურობას, ამიტომ სპეციალისტები გვირჩევენ მის მიღებას ვარიკოზის დროს. შტოშის წვენისა და ჭარხლის წვენის ნარევი უხდება მაღალ წნევას. შტოშს, როგორ ცოცხალს, ისე გადამუშავებულს, ფართოდ იყენებენ გასტრიტისა და კოლიტის დროს. შტოში, მისი წვენი და სიროფი, კისელი და მურაბა აძლიერებს კუჭისა და პანკრეასის წვენის გამოყოფას. შტოში სასარგებლოა ასევე დაბალი მჟავიანობის და კუჭქვეშა ჯირკვლის ანთების დროს.გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ შტოში აბრკოლებს პილორუსის ჰელიკობაქტერიის (ელიცობაცტერ პყლორი) გამრავლებას, რომელიც კუჭის წყლულს იწვევს, თუმცა კენკრა კარგია მხოლოდ პროფილაქტიკისთვის. თუ დაავადება უკვე ჩამოყალიბდა, მის მირთმევას არ გირჩევთ. შტოში უკუნაჩვენებია აგრეთვე მაღალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ღვიძლის დაავადებების დროს.

კუჭის აშლილობისას — 2 სუფრის კოვზ შტოშს უნდა დავასხათ 2 ჭიქა ცხელი წყალი, წამოვადუღოთ ნელ ცეცხლზე 10 წუთით, გავაგრილოთ, გავწუროთ და მივიღოთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა დღეში 4-ჯერ. ცნობილია, რომ შტოში აძლიერებს ანტიბიოტიკების მოქმედებას, ამიტომ ის საუკეთესო დამატებითი სამკურნალო საშუალებაა ცისტიტის, ნეფრიტის, ქალური ანთებითი დაავადებების დროს. თუ ცისტიტი ხშირად გაწუხებთ, რეგულარულად მიიღეთ 2 სუფრის კოვზი შტოშის წვენი დღეში ორჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ეს თავიდან აგაცილებთ ინფექციის გამწვავებას. ამ შესანიშნავი კენკრის ანტიბაქტერიული თვისებები არანაკლებ აღაფრთოვანებს სტომატოლოგებს. შტოში აფერხებს ბაქტერიების გამრავლებას, იცავს კბილებს კარიესისგან, ხოლო ღრძილებს — ანთებითი პროცესებისგან.



# კომში — ბუნებრივი პოლივიტამინი



კომში ერთ-ერთი ბუნებრივი პოლივიტამინია. ამ მხრივ ის არ ჩამოუვარდება ვაშლსა და მსხალს. კომში მდიდარია A, C, B, P ვიტამინებით, აზოტოვანი ნივთიერებებით, ორგანული მჟავებით, შაქრით. გარდა ამისა, კომშში უხვად არის მიკროელემენტები, არომატული, პექტინური და მთრიმლავი ნივთიერებები, რომლებიც ბაქტერიების საწინააღმდეგო თვისებებით გამოირჩევიან. კომშის მწიფე ნაყოფი მდიდარია შაქრებით — გლუკოზით, ფრუქტოზით, საქაროზით. შეიცავს ასევე ვაშლის, ღვინის და ლიმონის მჟავებს.

კომშს ოდითგანვე იყენებდნენ სამკურნალოდ. მოხარშულ ნაყოფს აჭმევდნენ, ხოლო ნახარშს ასმევდნენ საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების დროს კუჭ-ნაწლავის მოტორიკის გაძლიერების მიზნით. დღეს ფიტოთერაპევტები აღნიშნავენ, რომ კომში კარგია გულის აჩქარების, სისუსტის, ფაღარათის დროს, აქვს ამომფენი, შარდმდენი, სისხლდენისა და ღებინების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური მოქმედება. სწორედ ამიტომ სვამენ კომშის თესლის ლორწოვან ნახარშს სისხლიანი ხველის, საშვილოსნოდან სისხლდენის, ფაღარათის დროს. ნახარშს გარეგანადაც იყენებენ: კოსმეტოლოგიაში — კანის დასარბილებლად, თვალის დაავადებების დროს — საფენებისთვის, ანგინის შემთხვევაში — ყელში გამოსავლებად. კომშის ნაყოფის ჩაი გულის დაავადებების დროს შარდმდენ ეფექტს ავლენს. აღარაფერს ვამბობთ მისი გულების ნახარშის ეფექტურობაზე ხველის დროს, რაც თითქმის საყოველთაოდ არის ცნობილი.

კომშის უმი ნაყოფი მდიდარია რკინით — ერთ კილოგრამში მისი შემცველობა 30 მილიგრამია, რის გამოც კომში ეფექტური საშუალებაა ანემიის დროს.

კომში კოსმეტოლოგიაშიც გამოიყენება. ცხიმიანი და ფორებიანი კანისთვის მისგან ნიღაბი მზადდება: ათქვეფილ ცილას წვეთწვეთობით უნდა დავუმატოთ თანაბარი რაოდენობის ოდეკოლონი, ქაფურის სპირტი და კომშის წვენი. ეს ნიღაბი კანს ხავერდოვნებასა და სიგლუვეს სძენს.

# გაიუმჯობესეთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა

სამზარეულოში არსებული სანელებლებიდან დარიჩინი არა მარტო ყველაზე სურნელოვანი, არამედ ყველაზე სასარგებლოცაა.

ყავაში ჩაყრილი ან რაიმე დესერტზე მოყრილი დარიჩინი, გარდა იმისა, რომ აუმჯობესებს გემოს, დადებითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე.

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ დარიჩინი აუცილებლად უნდა ჩართოთ თქვენს რაციონში. განსაკუთრებით, თუ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის გაუმჯობესება გინდათ.



**რისთვის იყენებენ დარიჩინს:**

**გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების საწინააღმდეგოდ**

მიიღეთ ყოველდღიურად ერთი მწიკვი დარიჩინი. დარიჩინი აქვეითებს ქოლესტერინის დონეს, ამაგრებს სისხლძარღვებისა და გულის კედლებს. ამცირებს ინფარქტისა და ინსულტის განვითარების რისკს. ჰიპერტონიკებს უწესრიგებს წნევას.

**გახდომისთვის**

ცნობილია, რომ დარიჩინი აფერხებს ზედმეტი გლუკოზის წარმოქმნის პროცესს. სწორედ ამ თვისების გამო მას აქტიურად იყენებენ გახდომისთვის. ასე რომ, თუ გემრიელ ფუნთუშაზე უარის თქმა არ შეგიძლიათ, კარგი იქნება, თუ მას დარიჩინს მოაყრით.

დარიჩინი, ასევე, ხელს უწყობს ცხიმების დაწვას საჭმლის მომნელებელ სისტემაში, ეს კი სწორედ ის არის, რაც აუცილებელია მეტაბოლიზმის დასაჩქარებლად.

**სოკოსა და ბაქტერიების წინააღმდეგ**

დარიჩინის ქერქს ახასიათებს ანტისეპტიკური მოქმედება, კლავს სოკოსა და კარიესის გამომწვევ ბაქტერიებს. სწორედ ამიტომ დარიჩინს ხშირად იყენებენ კბილის პასტებისა და პირის ღრუს მოსავლელ სხვადასხვა საშუალებაში.

სოკოს საწინააღმდეგო თვისების გამო მას იყენებენ ვაგინალური სოკოსა და შარდგამომყოფი გზების კანდიდოზის სამკურნალოდ. ამ შემთხვევებში რეკომენდებულია სპრინცირება დარიჩინის ნაყენით. ასევე, შეგიძლიათ დალიოთ დარიჩინის ჩაი.



# პარტიების ლიდერების ყოველთვიური ხელფასების სია!

**„კვირის ქრონიკა“, დიანა ლიპარტელიანი**

***ყველა ელოდა, რომ პარლამენტი 2015 წლის ბიუჯეტს გაიზრდიდა და ამაზე უამრავი კომენტარიც კეთდებოდა. ბოლო სასესიო კვირაში კი სრულიად მოულოდნელად, პარლამენტმა დადგენილება მიიღო, რომლის თანახმადაც, მომავალი წლიდან არანაირი სახელფასო ზრდა არ მოხდება...***

**ვაჟა ბერიძე, პოლიტოლოგი:**

„ხელფასების მატება, სოციალური სიდუხჭირის პირობებში, სახელმწიფო აპარატში პოპულარული ვერ იქნება. საზოგადოებას ამ თემაზე საუბარი აღიზიანებს. როცა ხელისუფლებაში „ნაციონალები“ მოვიდნენ, სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის თანხმობითა და დახმარებით, მინისტრებს საკმაოდ მაღალი ხელფასები დაენიშნათ. არსებული სახელფასო სისტემა იმ პერიოდიდან იღებს სათავეს. თუმცა, ამჟამინდელი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ყოფილი ხელისუფლების პირობებში, ჩვენ საერთოდ არ ვიცოდით, სამინისტროებში, ან სხვადასხვა უწყებებში რა დონის ხელფასები იყო. ამაზე ინფორმაციას არავინ იძლეოდა. დღეს ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ასტროლოგიურ ციფრებში გამოხატული ხელფასების, დანამატებისა და პრემიების მომხრე არ ვარ, მაგრამ არც ეს პოპულისტური ბაკქანალია მიმაჩნია მისაღებად, რომ, რადგან საარსებო მინიმუმი 150 ლარია, სახელმწიფო სტრუქტურებში ყველაზე მაღალი ხელფასი 300 ლარი უნდა იყოს. არაფერი ისე ძვირი არ უჯდება ქვეყანას, როგორც იაფი სახელმწიფო აპარატი — ეს აპრობირებული მიდგომაა. საგანგაშო, ხელფასების მატება არ არის, მაგრამ კარგად უნდა იყოს გააზრებული — რა ვითარებაში უნდა გაზარდო. იქ ხელფასები ისედაც მაღალია და მატების გარეშეც წარმატებულად შეუძლიათ იმუშაონ ამ სტრუქტურებმა“.

რამდენიმე თვის წინ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით საგანელიძემ საკანონმდებლო ინიციატივა წარმოადგინა, რომლის თანახმადაც საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ყოველთვიური ხელფასი უნდა გაზრდილიყო. მოგვიანებით ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა, ამაზე განცხადებაც გააკეთა, — პრეზიდენტი მარგველაშვილი ყოველთვიურ ხელფასს 7 200 ლარის ოდენობით აიღებს, თუმცა ეს თანხა ანაზღაურების ერთადერთი წყარო იქნება, წინა პრეზიდენტისგან განსხვავებითო.

ჩვეულება არ დაარღვიეს და სიახლე სათანადოდ გააპროტესტეს „ლეიბორისტულ პარტიაში“. „ქვეყანაში, სადაც მილიარდი ლარითაა გარღვეული ბიუჯეტი, სადაც მოსახლეობის მესამედი სიღარიბის ზღვარს ქვევით იმყოფება, სადაც ბავშვები და მოხუცები შიმშილობენ, ოლიგარქის ახლად დანიშნულმა პრეზიდენტმა პირველი გადაწყვეტილებით საკუთარი ხელფასი გაიორმაგა“, — განაცხადა მაშინ პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა, გიორგი გუგავამ.

როცა გიორგი გუგავა ამ განცხადებას აკეთებდა, ალბათ, არ იცოდა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტის 7 200-ლარიან ხელფასზე დიდი გულმოდგინებით დაობენ, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების დიდი ნაწილის ყოველთვიური ხელფასები, პრეზიდენტის ამჟამინდელ ხელფასზე 2-ჯერ, ხან კი მეტჯერ მაღალია. მათ შორის „ლეიბორისტულ პარტიაშიც“. ვინაიდან გიორგი გუგავასთან დაკავშირება, ალბათ, წინასაარჩევნო ალიაქოთის გამო, ვერ მოვახერხე, ამ კითხვაზე პასუხიც ვერ მივიღე.

ახლა კი ვნახოთ, რა თანხებია აღნიშნული კანონით სავალდებულო სახელფასო დეკლარაციებში, რომელიც „სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის“ არის მიწოდებული. ეს 2013 წლის მონაცემებია. კოლოსალური თანხები კი, როგორც განმარტავენ, პარტიებს სხვადასხვა შემოწირულობების(!!!) შემდეგ უჩნდებათ.

„ეროვნული ფორუმი“ — პარტიის ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირი, პარტიის თავმჯდომარე, კახა შარტავაა. მისი ყოველთვიური ხელფასი — 21 000 ლარია;

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარის, გიორგი თარგამაძისა და პარტიის გენერალური მდივნის, ლევან ვეფხვაძის ყოველთვიური ხელფასი 30 000 ლარია; მათ 2 500 ლარით ჩამორჩებიან პარტიის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე, მაგდა ანიკაშვილი და პარტიის რეგიონალური სამსახურის უფროსი, გიორგი ახვლედიანი. მათი ყოველთვიური ხელფასი 27 500 ლარია;

„საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ ლიდერის, პაატა დავითაიას ყოველთვიური ხელფასი 42.000ლარია;

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ბუღალტრად ნინო ბურჯანაძეა მითითებული, მისი ყოველთვიური ხელფასი 12 500 ლარია;

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ლიდერის, ბაჩუკი ქარდავას ყოველთვიური ხელფასი 7 500 ლარია;

პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის, ირაკლი ქადაგიშვილის ხელფასი 23 500 ლარია;

პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ლოჯისტიკის სამსახური უფროსის, დავით ტყეშელაშვილის ყოველთვიური ხელფასი 8 250 ლარია;

„ლეიბორისტული პარტიის“ ყველაზე მაღალი ყოველთვიური ხელფასი 12 386 ლარია, მას იოსებ სამხარაძე იღებს, მისი თანამდებობა არ არის მითითებული;

„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერის სერგო ჯავახაძის ყოველთვიური ხელფასი 4 000ლარია;

პარტია „საქართველოს გზის“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირი თეიმურაზ მურვანიძეა, რომელიც ხელფასს უნაღდო ანგარიშსწორების სახით იღებს — 16 750 ლარის ოდენობით;

„საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ ხელმძღვანელის, ზვიად ძიძიგურის ყოველთვიური ხელფასი 12 750 ლარია;

„ქართული დასის“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი კადრი თორნიკე ბაღათურიაა, მისი ხელფასი 2 400 ლარია.

„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ლიდერის, ზურაბ ტყემალაძის ყოველთვიური ხელფასი 56 875 ლარია;

პარტია „ხალხის პარტია“ — სახელფასო გრაფა ცარიელია;

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ყველაზე მაღალი ხელფასი 3 088 ლარია, მას პარტიის ბუღალტერი, ქეთევან ურდულაშვილი იღებს;

„ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის“, თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის ეკატერინე ჩიტიაშვილის ყოველთვიური ხელფასი 19 500 ლარია;

ამასთანავე:

პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის, არმაზ ახვლედიანის ყოველთვიური ხელფასი 8 899 ლარს შეადგენს;

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალური ადმინისტრაციის უფროსის ელენე ჯავახაძის ყოველთვიური ხელფასი 18 000 ლარია;

„რესპუბლიკური პარტიის“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირი კი თამარ რომელაშვილია, მისი ხელფასი 16 800.00 ლარია;

ზემოჩამოთვლილ პოლიტიკურ პარტიებში ხელფასის მინიმალური ოდენობა 50-დან 500 ლარამდე ფიქსირდება.

ამ ჩამონათვალის გაცნობის შემდეგ, ალბათ, არ იქნება რთული, დავასკვნათ, რატომ დუმს ეს ხალხი, როცა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ხელფასების მატების ფაქტები ფიქსირდება...

# დიაბეტის საწინააღმდეგო ვაქცინა ოფიციალურად იქნა წარდგენილი, მთელი მსოფლიო ზეიმობს ამ სიახლეს

დიაბეტის საწინააღმდეგო ვაქცინას შეუძლია განკურნოს ყველაზე რთული ეტაპი და გამოასწოროს გამოწვეული შედეგები. სალვადორ შაკონ რამირესმა „დიაბეტზე გამარჯვება“ — ფონდის პრეზიდენტმა და ლუჩია სარატე ორტეგამ აუტოიმუნური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ასოციაციის პრეზიდენტმა, ჩაატარეს პრესკონფერენცია, რომელზეც მათ ვაქცინის აღმოჩენის შესახებ განაცხადეს და რომელიც შეცვლის დიაბეტის პრობლემაზე შეხედულებას მთლიანად. შაკონ რამირესმა განმარტა, რომ ყოველი პაციენტი საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. მრავალი წელი გავიდა ამ დაავადების აღმოჩენიდან-ვაქცინის შექმნამდე. დოქტორი ხორხე გონსალეს რამირესი არის ერთ-ერთი შემქმნელი ვაქცინისა: პირველად, ჩვენ შევძელით შეგვექმნა ფიზიოლოგიური ხსნარი, ნებისმიერი ტიპის დიაბეტისთვის.

მან აღწერა ეს პროცედურა: იღებენ 5 კუბ სისხლს ყოველი პაციენტისგან, შემდეგ ამატებენ 55 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარს და მიღებულ მასას აციებენ 5 გრადუს ცელსიუსამდე, ხოლო როცა ტემპერატურას ზრდიან 37 გრადუსამდე (ორგანიზმის ტემპერატურამდე). ხდება სასწაული და ეს ხსნარი იცვლის თავის შემადგენლობას, ისეთი სახით, რომ იცვლება გენეტიკური მეტაბოლური სტრუქტურა და გადაიქცევა ვაქცინად. ვაქცინის შენახვის ვადაა 60 დღე, ხოლო მკურნალობა გრძელდება 1 წელი. ეს ვაქცინა წამლებზე უკეთესია. ეს სამედიცინო პრაქტიკა გადაიქცა სტანდარტული მეთოდებით მკურნალობის ალტერნატივად, იმიტომ რომ მას შეუძლია შეაჩეროს დიაბეტის შედეგად გამოწვეული გართულებები როგორებიცაა:

ემბოლეა, სმენის დაკარგვა, თირკმლის უკმარისობა, სიბრმავე და ა.შ.

დოქტორმა სარატემ ასევე განმარტა, რომ პაციენტებს, რომლებსაც სურთ გაიკეთონ დიაბეტის საწინააღმდეგო ვაქცინა, უნდა მიმართონ მექსიკის კონტროლის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ასოციაციის ექიმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მათ შეექმნათ გაუთვალისწინებელი შედეგები. როგორც ექიმი ამბობს: „ეს მკურნალობაა და არა სასწაული, პაციენტები უნდა იყვნენ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ, უნდა შეასრულონ საჭირო მითითებები, მიიღონ წამლები, დაიცვან დიეტა და ამის შემდეგ დაწყოს ვაქცინაცია“.



# ზამთრის ყინვებისგან დაზიანებული ვაზის მოვლა და გასხვლა

ზამთრში ტემპერატურის დაცემა მინუს 12 გრადუსზე იწვევს კვირტების დაზიანებას; მინუს 18 გრადუსზე ყინვამ შეიძლება გამოიწვიოს ვაზის მთლიანად დაღუპვაც.

ზამთრის ყინვებისგან ვაზის დაცვის ძირითად ღონისძიებად გამოყენებულია მისი დაფარვა მიწით (დამარხვა), თუმცა ეს ღონისძიებაც ხშირ შემთხვევაში ვაზის დაზიანებისაგან დაცვის სრულ გარანტიას არ იძლევა.

მთავარია ადგილობრივი პირობებისათვის გამძლე ჯიშების შერჩევა. ვაზის ყინვაგამძლეობა არის გარემო ფაქტორებთან ჯიშის ბიოლოგიური შეგუების შედეგი; ამავე დროს ერთი და იგივე ჯიში რომელიმე წელს შეიძლება ნაკლებად დაზიანდეს დაბალი ტემპერატურისაგან, ხოლო სხვა შემთხვევაში, მიუხედავად უკეთესი ტემპერატურული პირობებისა, ვაზი ადვილად დაიღუპოს.

გარემოსა და ჯიშის ბიოლოგიურ თვისებათა სრული შესაბამისობის შემთხვევაში ვაზი ნორამალურად მომზადებული ხვდება ზამთრის პერიოდს. ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ყინვაგამძლეობის უნარი შემცირებულია.

ზამთრის ყინვებისაგან ვაზის დაზიანება სხვადასხვა ხასიათისაა და ის ძირითადად დამოკიდებულია შემდეგ ცვალებად პირობებზე: ყინვის ინტენსივობასა და ხანგრძლივობაზე, ჯიშის ყინვაგამძლეობაზე, ნაკვეთის ადგილმდებარეობაზე და რელიეფზე, აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და ხარისხობრივად ჩატარებაზე და სხვა.

ყინვებისგან დაზიანებით არა მარტო ყურძნის მოსავალი იღუპება, არამედ ნაზარდიც უვარგისი ხდება გამრავლებისათვის; ამასთანავე, ვაზის ფორმის მოხდენით, ყურძნის შემცირებული მოსავლის მიღება მოსალოდნელია გაგრძელდეს რამდენიმე წელს.

შესაძლებელია აგრეთვე ვენახი მთლიანადაც დაიღუპოს და საჭირო გახდეს მისი ხელმეორედ გაშენება.

ზამთრის ყინვებისაგან დაზიანებული ვენახის მოვლის ღონისძიებათა დაზუსტებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წიანსწარ დაზიანების ხარისხის განსაზღვრას. ამისათვის საჭიროა ნაკვეთების წინასწარი შესწავლა ჯიშების, ნაკვეთების მდებარეობისა და რელიეფის მიხედვით.

### ზამთრის ყინვებისგან დაზიანებული ვაზის მოვლა

მევენახეობის მთელ რიგ რაიონებში, რომლებიც ჩვეულებრივ თბილი, ზომიერი ჰავით ხასიათდება, ვაზის დაზიანება ზამთრობით დაბალი ტემპერატურის გამო ხდება პერიოდულად — ათ ან მეტ წელში ერთხელ.

ხშირად აქვს საქართველოში ადგილი ვენახების საგრძნობ დაზიანებას ზამთრის ყინვებისაგან და ცალკეული მეურნეობის მიხედვით ყურძნის მოსავლის მთლიანად დაღუპვასაც კი, მიუხედავად იმისა რომ ვენახებისათვის დამაზარალებელი ყინვები საქართველოს პირობებში ხშირ მოვლენას არ წარმაოდგენს, იგი მაინც მოსალოდნელია და ამიტომ საჭიროა სერიოზული ყურადღების მიქცევა ამ საკითხისადმი.

### ზამთრის ყინვისგან დაზიანებული ვაზის გასხვლა

მხოლოდ გაუსხლავი დაზიანებული ვაზის გამოსწორება შეიძლება სხვლის საშუალებით.პირველი სახის დაზიანების დროს, როდესაც დაზიანებულია ძირითადი კვირტების მცირე ნაწილი, შეიძლება სრული მოსავლის მიღება დატოვებული კვირტების გადიდებით დაზიანების შესაბამისად.

ასე მაგალითად, შემოწმების დროს თუ დადგინდა ძირითადი კვირტების დაზიანება 50 პროცენტით, მაშინ სხვლის დროს დატვირთვა უნდა გადიდდეს 100 პროცენტით ე.ი. თუ ნორმალურად (დაზიანების გარეშე) საჭირო იქნება 20 კვირტის დატოვება, 50 პროცენტით დაზიანების შემთხვევაში უნდა დარჩეს 40 კვირტი.

მეორე სახის დაზიანების დროს, როდესაც ძირითადი კვირტების უმეტესი ნაწილია დაზიანებული, ვაზის გამოსწორება უნდა განისაზღვროს ყურძნის მოსავლის ნაწილობრივ აღდგენით და მომავალი წლისთვის ნაზარდის უკეთეს ადგილებში განვითარებით.

უნდა აღინიშნოს რომ კვირტების დაზიანების ამ შემთხვევაში დაზიანება მერქანშიც არის გადასული. ამ დროს დაზიანების მრავალ გადახრას აქვს ადგილი. ამ შემთხვევაში სხვლის წესის დაზუსტება არამც თუ გაძნელებულია, არამედ შეუძლებელიც არის.

ამიტომ ასეთ დაზიანების შემთხვევაში მიმართავენ ორმაგი წესით გასხვლას.პირველ რიგში გამოკვლევისთანავე უდნა შეეცვალოს ვაზს ისეთი ნაზარდი, რომელიც ყველა შემთხვევაში მოშორდებოდა, ხოლო დატოვებული ნაზარდი მოშორდეს.

მეორე საბოლოო გასხვლა ჩატარდება კვირტების გაღვიძების შემდეგ. მესამე სახის დაზიანების დროს როდესაც ყველა კვირტი დაღუპულია, საგრძნობლად დაზიანებულია აგრეთვე მერქანიც. ამ დროს პირველადი მოსავლის ნაწილობრივ აღდგენაზე ზრუნვა უშედეგოა. სხვლის დროს ეცლება ყველა ნაზარდიდა რჩება მხოლოდ შტამბი მთელ სიგრძეზე, მიუხედავად იმისა რომ ისიც შეიძლება დაზიანებული იყოს.

ყველა ვაზის მიმართ შტამბზე დაზიაინების საზღრის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ შტამბის მთელ სიგრძეზე დატოვება მაინც მიზანშეწონილია, შემდეგში სხვადასხვა ზომის ამონაყარის მისაღებად.

მეოთხე სახის დაზიანება დროს ნამყენი ვაზი შეიძლება მთლიანად დაცულ იქნეს დალუპვისაგან ამ შემთხვევაში თუ ამ დროს ადგილი აქვს თოვლის საბურველს, რომელშიც მოქცეულია შტამბის ქვედა ნაწილი. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა ვენახის ხელმეორედ გაშენება.

თოვლის საბურველი გამო დალუპვას გადარჩენილი ვენახი ისხვლება შტამბის დატოვებით ისე, როგორც ეს აღნიშნული იყო დაზიანების წინა მაგალითებში.

**რედაქცია „აგროკავკასია“**



# მიწავაშლა — თესვა-დარგვა, მოვლა, მოყვანა...

მიწავაშლა — ერთწლიანი ტუბერიანი (ბოლქვიანი) მცენარეა, რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. (ლათ. Heliantus tuberosus L. ინგლ. Jerusalem Artichoke, ევროპ. Topinambur, რუს. земляная груша.)

### მიწავაშლას კულტურის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა

მისი სამშობლო ამერიკის კონტინენტია. მიწათმოქმედთათვის მიწავაშლა ცნობილია საუკუნეების მანძილზე. ამერიკიდან მე-17 საუკუნეში შემოიტანეს ევროპაში, საიდანაც მე-18 საუკუნეში ვრცელდება ჯერ რუსეთში, ხოლო შემდეგ საქართველოში.

მიწისქვეშა ფესვებზე აქვს ტუბერები (თეთრი, ყვითელი, იისფერი ან წითელი). მისი მოყვანა ერთი და იგივე ადგილას შეიძლება წლების მანძილზე, მიწავაშლა შეიძლება გამოვიყენოთ:

საკვებად პირუტყვისათვის — მწვანე მასა გამოიყენება სასილოსედ;

ტექნიკური მიზნით — საკონდიტრო, სპირტის და შაქრის წარმოებაში;

სასურსათოდ — საკვებად და იყენებენ დიეტური ყავის დასამზადებლადაც;

სამკურნალოდ (ხალხურ მედიცინაში — დიაბეტის სამკურნალოდ);

კოსმეტიკაში (ხალხური კოსმეტიკა).

მიწავაშლას ქიმიური შედგენილობა შემდეგ სურათს იძლევა: ტუბერი შეიცავს 3% ცილას, მინერალურ მარილებს, ხსნად პოლისაქარიდ ინულინს 16-18%, ფრუქტოზას, მიკროელემენტებს, აზოტოვან ნივთიერებებს 2-4%. საკმაოდ მდიდარია ვიტამინებით B1, ვიტამინ C, კაროტინით.

ტუბერში შაქრების რაოდენობა იცვლება მოსავლის აღების ვადების მიხედვით, ღეროებიდან და ფოთლებიდან საკვები ნივთიერებების გადინების ხარჯზე. მიწავაშლას ტუბერი შეიცავს ისეთ შეუცვლელ ამინომჟავებს, როგორიცაა: არგინინი, ვალინი, ლიზინი, ლეიცინი. ამის გამო ის შეუცვლელი პროდუქტია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

განსაკუთრებით მდიდარია ინსულინის ანალოგით — ინულინით. ამიტომ რეკომენდირებულია დიაბეტით დაავადებულთათვის. ნახშირწყლების რაოდენობით ის აღემატება შაქრის ჭარხალს და შაქრის ლერწამს. 100 კგ მიწავაშლასგან ღებულობენ 10 კგ ფრუქტოზას.

ფოთოლი შეიცავს პროტეინს, შაქარს, ცხიმებს, უჯრედისს, ვიტამინებს, კაროტინს, მარილებს, ნიკოტინის მჟავას. ტუბერები შეიცავს ინულინს, შაქარს, ცილებს, ორგანულ მჟავეებს, მინერალურ ნივთიერებებს. გამოიყენება სისხლაღმდგენად, დამამშვიდებლად, ათეროსკლეროზის და დიაბეტის სამკურნალოდ.

### მიწავაშლას ბოტანიკურ-მორფოლოგიური დახასიათება და ბიოლოგიური თავისებურებანი

მიწავაშლას ბიოლოგიური დახასიათება ჯეროვნად არ არის შესწავლილი. იგი მიეკუთვნება რთულყვავილოვანთა (ჩომპოსიტაე) ოჯახს. დღეისათვის ცნობილი მიწავაშლას 100-მდე სახეობიდან, მხოლოდ ელიანტჰუს ტუბეროსუს-ია სამკურნალო. ამ ნაერთებით XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაინტერესდნენ. სამშობლოში მცენარე 2-2,5 მ აღწევს. ღეროს დიამეტრი 60-70 მმ-ა.

ფესვი — მთავარღერძაა, მიწისქვეშა მუხლებიდან ინვითარებს დამატებით ფესვებს და ხშირად ფესვებს ფუნჯისებური სახე აქვს. ძირითადი მასა გავრცელებულია 20-30 სმ სიღრმეზე, მაგრამ ცალკეული ფესვი ვრცელდება 1,5 მ და მეტ სიღრმეზე.

ღერო — სწორმდგომია, 1,5-2 მ სიმაღლის; იტოტება ძირიდან და ქმნის 3-4 ღეროიან ბუჩქს; ღერო ცილინდრული, დამუხლული, ახალგაზრდა ნაწილები დაფარულია უხეში ბუსუსებით, რომლებიც შემდეგ თანდათან კვდება. ღეროს ფუძე განიერია, ზემოთ თანდათან წვრილდება და ზემოთ 0,4-0,5 სმ დიამეტრისაა; სუსტად დატოტვილია; ადვილად ფესვიანდება წყალში; ფოთოლი — ყუნწიანია, ხეშეშა, კვერცხისებრი, წაწვეტებული ბოლოთი, კიდედაკბილული; სიგრძე ყუნწთან ერთად 21 სმ; სიგანე 12 სმ; ქვედა ფოთლები მოპირდაპირეა, ზედა ფოთლები ლანცეტურია, სპირალურად განლაგებული, და ქმნის კალათას საბურველს; ყვავილედი, პატარა ზომისკალათა (3-4 სმ დიამეტრის);

ყვავილები ღია ყვითელია, კარგი სუნით, ორი ტიპის ყვავილი აქვს — მილისებრი და ენისებრი; თესლის მასა 7-9 გ; ტუბერი წარმოიქმნება შემოდგომით; ზამთრის განმავლობაში მიწაში კარგად ინახება.

### მიწავაშლას მოყვანა საქართველოში

საქართველოში მიწავაშლა მოდის ყველგან. კარტოფილთან შედარებით უკეთ იტანს როგორც მაღალ, ისე დაბალ ტემპერატურას. მისი ტუბერი მიწაში — 20-21$^0$C ტემპერატურას უძლებს. მისთვის საუკეთესო პირობებია ზაფხულის მეორე ნახევრის და შემოდგომის ნალექების პერიოდი. ნიადაგის მიმართ ნაკლებად მომთხოვნია.

იგი ეგუება ნიადაგის ყველა ტიპს, სადაც კი ხვნაა შესაძლებელი, მაგრამ ზედმეტად მწირი და მლაშე ნიადაგები მისთვის გამოუსადეგარია. მოკლე დღის მცენარეა. გვალვაგამძლეა, მაგრამ წყლით უზრუნველყოფისას ის იძლევა მეტ მოსავალს, ჭარბი ტენი კი უარყოფითად მოქმედებს მასზე და ტუბერები ძნელად ვითარდება.

სელექციონერებმა ის შეუჯვარეს მზესუმზირას და მიიღეს ჰიბრიდები (სასილოსე). თესლბრუნვაში არ გამოიყენება. მიწაში ჩარჩენილი ტუბერები ათეული წლების მანძილზე იძლევა ახალ-ახალ ამონაყარს ყოველგვარი მოვლის გარეშე. მაგრამ ნაყოფი თანდათან წვრილდება.

საქართველოში მიწავაშლას კუთხური სახელწოდებები: გურიაში-მიწის ვაშლი; ჭანეთში — დიხა უშქირი; სამეგრელოში — დიხაში უშქური; სვანეთში — გიმიშ ვისგ.

### მიწავაშლას აგროტექნიკა

მიწავაშლა ერთწლიანი ტუბერიანი მცენარეა. იმის გამო, რომ მის ტუბერებს უნარი აქვთ გამოიზამთრონ და წარმოქმნან ახალი მცენარე, მათი მოყვანა შეიძლება ერთ ადგილზე წლების განმავლობაში. მისთვის დამახასიათებელია მთავარღერძიანი ფესვთა სისტემა, წვრილი და ხშირი ფუნჯისებრი ფესვები 1,5 მ სიღრმემდე აღწევს ნიადაგში.

ის კარგად იტანს როგორც მაღალ, ისე დაბალ ტემპერატურას. ტუბერი ნიადაგში 20-210ჩ ყინვის პირობებში არ იყინება, რაც აიხსნება წყალში ადვილად ხსნადი ინულინის შემცველობით.

მიწავაშლა გვალვაგამძლე მცენარეა, მაგრამ წყლით ზომიერად უზრუნველყოფის შემთხვევაში მყარ და მაღალ მოსავალს იძლევა. უარყოფითად მოქმედებს ჭარბი ტენი, კერძოდ, მწვანე მასა და ტუბერები ძნელად ვითარდება, ცუდად ზამთრობს და ადვილად ლპება.

ვითარდება თითქმის ყველა სახის ნიადაგში, მაგრამ უკეთესია მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის ნოყიერი ნიადაგი, კარგად ეგუება ქვიშიან და ქვიანლორღიან ნიადაგებსაც.

ვერ იტანს მჟავე და დაჭაობებულ ნიადაგებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწავაშლა გაუნაყოფიერებელ ნიადაგებზე მისი მძლავრი და ღრმად მზარდი ფესვთა სისტემის გამო იძლევა მოსავალს, სასუქების გამოყენების ეფექტი მაღალია.

სასურველია შევიტანოთ ორგანული სასუქი ან აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები, მოქმედი ნივთიერებები შემდეგი დოზით: 60-60-30.

ფოსფორიან-კალიუმიანი სასუქები შეაქვთ ძირითადად ხვნის წინ, ხოლო აზოტიანი სასუქები თესვის წინ და პირველი კულტივაციის დროს, მომდევნო წლებში პირველი და მეორე კულტივაციის დროს.

მიწავაშლას დასარგავად ნიადაგის მომზადება იწყება ღრმა ხვნით (25-27 სმ), ფრეზირებით და ფარცხვით. დარგვა შესაძლებელია როგორც შემოდგომით, ისე გაზაფხულზე. ბარის პირობებში შემოდგომით დარგული უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე გაზაფხულზე დარგული.





დარგვამდე ნიადაგში შეაქვთ 50-70 ტონა გადამწვარი ნაკელი ჰექტარზე ან სხვა განოყიერების საშუალება, შესაბამისი დოზირებით.

### დარგვის სქემა

რიგებს შორის 60 X 70 სმ;
რიგში მცენარეთა შორის 35 X 40 სმ;
დარგვის სიღრმე — 10-12 სმ;
დასარგავი ბოლქვის მასა 30-50 გრ;
ირგვება 40 000 ცალი — ჰექტარზე;
დარგვის ხარჯი 1.2-2.0 ტ-ჰექტარზე.

### მოვლა

გაზაფხულზე მიმდინარეობს ნათესის პირველი კულტივაცია რიგთაშორისების გაფხვიერებით აღმონაცენის 10-15 სმ-ის დროს, მეორე კულტივაცია ტარდება ნათესის 40-50 სმ-ის დროს.

მეორე კულტივაციის შემდეგ მიწავაშლა იმდენად ძლიერად ვითარდება, რომ ფოთლები მთლიანად ფარავს ნიადაგს და მისი შემდგომი მოვლა საჭირო აღარ არის.

მიწავაშლას მაღალი მოსავლის მისაღებად კულტივაციის წინ, იქ სადაც მორწყვის საშუალება არ არსებობს, აწარმოებენ ორჯერად გამოკვებას ყოველი კულტივაციის წინ 1ჰა-ზე მოქმედი ნივთიერებიდან შემდეგი დოზით: პირველი კულტივაციის დროს 30-60-30.

მეორე კულტივაციის დროს შეაქვთ ამონიუმის გვარჯილა, მოქმედი ნივთიერებიდან 30 კგ-ის ოდენობით.

აღმოცენების შემდეგ საჭიროა კულტივაცია რიგთაშორისების გამოჩენის და ზედმეტი აღმონაცენის მოცილებისათვის.

### მიწავაშლას სავეგეტაციო პერიოდი 180-200 დღეა

მიწავაშლას ტუბერების ამოსაღებად იყენებენ კარტოფილის ასაღებ მანქანებს. ღეროების აღება ხდება ყინვების დაწყებამდე, ამ პერიოდში ტუბერები კარგად ვითარდება და ზრდას აჩერებს მხოლოდ ყინვების დაწყებისას.

ტუბერების ამოღება შესაძლებელია როგორც შემოდგომით, ასევე გაზაფხულზე, მიწავაშლას ტუბერების შემოდგომით ამოღებისას ნაკვეთი გაზაფხულზე უნდა დაიფარცხოს.

ტექნიკურ ლიტერატურაში არსებული მონაცემებით, 1 ჰა-ზე მიწავაშლას ტუბერების მოსავალი სხვადასხვა კლიმატურ-ნიადაგობრივ პირობებში 35-დან 50 ტონამდე მერყეობს.

მიწავაშლას კულტივირებისას, მწვანე ბიომასის მოსავალი, ერთ ჰექტარზე, 40-დან 70 ტონას უდრის. ამ რაოდენობის მწვანე მასიდან დაახლოებით 6-10 ტონა ინულინი მიიღება, ხოლო ამ უკანასკნელის ჰიდროლიზით იგივე რაოდენობის ფრუქტოზა (6-10 ტონა), რომლის დადუღება მოგვცემს დაახლოებით 3,5-6,0 ტონა სპირტს.

აქედან გამომდინარე, 1 ჰა-ზე აღებული მიწავაშლას მთლიანი მასიდან, მიწისზედა (ბიომასა) და მიწისქვეშა (ტუბერები), შესაძლებელია 11-17 ტონა ფრუქტოზის, ხოლო ამ უკანასკნელიდან 6,5-10 ტონა სპირტის წარმოება.

**„აგროკავკასია“**

# შავი მოცხარი — დარგვა, გამრავლება, გასხვლა-ფორმირება



შავი მოცხარი (ლათ. Ribes nigrum, რუს. смородина черная) —ხუნწისებრთა ოჯახის მონოტიპური ფოთოლმცვივანი მცენარე. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. 1-2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია.

სინათლის მოყვარულია თუმცა ეგუება აგრეთვე მცირე-ჩრდილიან ტერიტორიებსაც. იზრდება მეტწილად თიხნარ ნიადაგზე. ნორჩი ყლორტი ბუსუსიანი და მკრთალია.

აქვს 3-5 ნაკვთიანი სურნელოვანი ფოთლები, რომელიც ზემოდან მუქი, ქვემოდან კი უფრო მკრთალი მწვანეა. ყვავილები მოწითალო რუხია, ფართო ზარისებრი. ყვავის მაის-ივნისში.

ნაყოფები შეიცავს 10-13 % შაქრებს, 2,6-3,7 % თავისუფალ მჟავებს 1 %-მდე პექტინურ ნივთიერებებს, მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს, , 1 და ვიტამინებს, განსაკუთრებით მდიდარია ჩ ვიტამინით.

განთქმულია შავი მოცხარის ღვინოები.

### როგორ ამრავლებენ შავ მოცხარს

შავ მოცხარს ამრავლებენ გამერქნებული და მწვანე კალმებით, გადაწიდვნით, ბუჩქის დაყოფით, მყნობითა და თესლით.

გამერქნებული კალმების დაფესვიანება შავი მოცხარის გამრავლების, ყველაზე მარტივი და ეფექტიანი ხერხია. მწვანე კალმებით გამრავლებამ დღემდე ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება პრაქტიკულ მებაღეობაში.

იშვიათად მაგრამ მაინც გამოიყენება გადაწიდვნით გამრავლება. ბუჩქების დაყოფით გამრავლებას იყენებენ მხოლოდ სარგავი მასალების ნაკლებობის დროს და მოცხრის ბუჩქის, ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის შემთხვევაში.

მყნობით გამრავლებისას საძირედ გამოიყენება, ოქროსფერი და სურნელოვანი მოცხრის ერთწლიანი ყლორტები. მათ ამყნობენ 1-1.1 მეტრის სიმაღლეზე- შავი მოცხარის შტამბიანი მცენარეების მისაღებად. პრაქტიკულ მებაღეობაში მყნობა წარმოებს ცნობილი ხერხებით. საუკეთესო შედეგები მიიღება ადრე გაზაფხულზე „ინგლისური კოპულაციის“ და „გვერდითა ჭრილში“ მყნობის მეთოდების გამოყენებით.

შავი მოცხარის თესლით გამრავლებას არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ამ გზით მიღებული მცენარე, სამეურნეო თვისებებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება საწყის ჯიშს.

### როგორი ნაკვეთი და ნიადაგი გამოდგება შავი მოცხარის გასაშენებლად

შავი მოცხარი ტენისმოყვარე ბაღის კულტურაა, იგი კარგად ვითარდება და მსხმოიარობს ნაკვეთებში, სადაც გრუნტის წყლები შედარებით მაღლა (ნიადაგის ზედაპირიდან 1-1.5 მ-მდე) დგას. მისთვის შესაფერისია საკმარისად დატენიანებული მსუბუქი თიხნარი ნიადაგები, კარგი აერაციით.

ნიადაგის მჟავიანობა: პ = 6,0-6,5;

დარგვის სქემა: 2ხ1.5 მ. (სამრეწველო ბაღი, გაითვალისწინეთ ტექნიკა)

დასარგავი ორმო: 0.5ხ0.5ხ0.5მ.

მაღალი მჟავიანობის ნიადაგები შავი მოცხარის გასაშენებლად რეკომენდირებული არ არის, თუ შავ მოცხარს მაღალი მჟავიანობის ნიადაგზე გავაშენებთ, რგვის წინ აუცილებელია მისი გაკირიანება.

შავი მოცხარის გასაშენებლად ყველაზე უკეთ გამოდგება ჩრდილოეთის, ჩდდილო-აღმოსავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის ფერდობები. რაიონებში რომლებიც მნიშვნელოვან სიმაღლეზეა ზღვის დონიდან, შეიძლება გამოვიყენოთ სამხრეთისა და დასავლეთის ფერდობები.

ზღვის დონიდან 950 მ-ზე მაღლა მდებარე რაიონებში, შავი მოცხარის გაშენება არ არის მიზანშეწონილი.

### ნაკვეთის მომზადება დასარგავად

ბაღის გაშენებამდე შერჩეულ ფართობზე უნდა ჩატარდეს ნიადაგის ღრმად დამუშავება (პლანტაჟი) 45-50 სმ-ის სიღრმეზე. ნიადაგის აგრო-ქიმიური გამოკვლევის საფუძველზე ორგანულ-მინერალური სასუქისა (ფოსფოროვან — კალიუმიანი) და ქიმიური მელიორანტების შეტანა, ნიადაგის ჯვარედინული მოხვნა და დაფარცხვა.

ნერგების დარგვამდე ერთ ჰექტარზე უნდა შევიტანოთ ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა ორგანული წარმომავლობის მასა) 60-100 ტონის ოდენობით. ფოსფოროვანი სასუქი 350-500 კგ და კალიუმიანი სასუქი 250-400 კგ/ჰა-ზე.

### შავი მოცხარის დარგვის სეზონი

ყველაზე უკეთ ხარობს და იზრდება შემოდგომაზე დარგული შავი მოცხარი. ამ შემთხვევაში იგი ზამთარში ფესვიანდება და ადრე გაზაფხულზე იწყებს ზრდას. რგვა 20 ნოემბრამდე უნდა დავამთავროთ, თუ შემოდგომაზე ვერ შეძელით, დასაშვებუია გაზაფხულზე დარგვაც.

საჭიროა თუ არა შავი მოცხარისთვის დამამტვერიანებელი ჯიშების შერჩევა

შავი მოცხარის ჯიშების უმრავლესობა თვითნაყოფაა, ამიტომ მათი რგვა შეიძლება დამამტვერიანებელი ჯიშების შეურჩევლადაც, მაგრამ უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად უმჯობესია უზრუნველყოთ ცალკეული ჯიშების ურთიერთდამტვერვა. გასათვალისწინებელია ისიც რომ, მოყვარულმა მებაღემ უმჯობესია დარგოს 2-3 ჯიშის მოცხარი.

### როგორი უნდა იყოს შავი მოცხარის სარგავი მასალა

სარგავი მასალის ხარისხზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, შავი მოცხარის ნარგავების პროდუქტიულობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა. შავი მოცხარის ნერგის კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა შედგება 25-30 სმ-ის სიგრძის 3-4 მთავარი განტოტვისა და მრავალრიცხოვანი წვრილი განტოტვისგან, მიწისზედა ნაწილი-დაახლოებით 50 სმ სიგრძის 3-4 ღონიერი ყლორტისგან. ნერგები არ უნდა იყოს დავადებული.

საჭიროა უშუალოდ დარგვის წინ, ნერგს ჯანსაღ ადგილამდე გავაცალოთ დაზიანებული დაზიანებული ყლორტები და ფესვები, ჯანსაღი ფესვების დამოკლება არ არის მიზანშეწონილი.

### რა მანძილი უნდა დავიცვათ შავი მოცხარის ნერგების დარგვისას

შავი მოცხარის ბუჩქების რგვის სიხშირე, უწინარეს ყოვლისა, მცენარის ჯიშსა და ნიადაგის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული. უფრო ნაყოფიერ ნიადაგებზე იგი შედარებით მეჩხრად ირგვება და პირიქით.

მოყვარულთა ბაღებში, სადაც ნიადაგს ხელით ამუშავებენ, ბუჩქებს შორი მანძილი შეიძლება ნაკლები იყოს. რიგებს შორის და რიგებში ცალკეულ მცენარეებს შორის ვტოვებთ თანაბარ მანძილს 1.2-1.5 მ-ს. შედარებით მწირ ნიადაგებზე ვიღებთ უმცირესს აღნიშნულ მანძილთაგან.

### შავი მოცხრის ბუჩქი გასხვლა-ფორმირება

შავი მოცხარის ბუჩქის ფორმირებას ვიწყებთ დარგვის შემდეგ მომდევო გაზაფხულზე. ერთღეროიან ნერგებს ვამოკლებთ 2-4 კვირტამდე, სუსტ მცენარეებს უფრო მეტად. თუ მუხლთშორისებო მოკლეა, მაშინ შეიძლება დავტოვოთ მეტი რაოდენობის კვირტები.

თანაბრად მზარდ ორღეროიან მცენარეს ვჭრით ერთ ან ორ კვირტზე, თუ ნერგის ტოტები არათანაბრად მზარდია. სუსტს ვამოკლებთ ერთ კვირტამდე, ხოლო ძლიერს-ორამდე.

დარგვიდან მეორე წელს ზამთრის სხვლა ბუჩქის მდგომარეობასა და ძალაზეა დამოკიდებული. კარგად განვითარებულ ბუჩქებში შევარჩევთ 3-4 თანაბარზომიერად განლაგებულ ძირითად ტოტებს (მსხმოიარე ტოტებად), ხოლო დანარჩენებს ძირში მოვჭრით. მსხმოიარობისთვის დატოვებულ ტოტებს ისე გავსხლავთ, რომ მათი წვერები ერთ დონეზე იყოს.

ყველაზე სუსტ ბუჩქებს რომლებსაც 1-3 ტოტი აქვს, მსხმოიარე ტოტებს არ ვუტოვებთ და არსებულ ტოტებს შევამოკლებთ გასამსხვილებლად (2-3 კვირტამდე). საშუალოდ მზარდ ჯგუფებში მსხმოიარობისთვის ვტოვებთ 1-2 ტოტს.

მესამე წელს ბუჩქს დამატებით 2-3 ძირითად ტოტს ვუტოვებთ, დანარჩენს მოვაცილებთ, შემდეგ ვამოკლებთ ცალკეულ ტოტებს ბუჩქში გასათანასწორებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ცალმხრივად გაიზრდება.

თუ წინა წელს სუსტი ტოტები დავტოვეთ, მომდევნო წელს კი უფრო ღონიერი და სწორედ განლაგებული ამონაზარდი მივიღეთ, ორწლიან ტოტებს მოვჭრით და ერთწლიანი ღონიერი ტოტებით შევცვლით.

კარგი მოვლისა და სწორი სხვლის პირობებში მესამე წლის დამლევს ბუჩქი უკვე ჩამოყალიბებულია. სწორედ ჩამოყალიბებული შავი მოცხრის ბუჩქი შედგება 2-3 ერთწლიანი, ამდენივე ორწლიანი და სამწლიანი ძირითადი ტოტებისაგან.

### შავი მოცხარის ბუჩქის ასაკი

შავი მოცხარის ბუჩქი დარგვიდან მსხმოიარობს მეორე-მესამე წელს, მეხუთე-მეექვსე წლამდე მოსავლიანობა იზრდება, მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში ერთ დონეზე რჩება, მერე კი მკვეთრად კლებულობს.

მაშასადამე, შავი მოცხარის ბუჩქების მაღალი პროდუქრტიულობა დარგვის მეორე-მესამე წლიდან, 6-8 წელი გრძელდება ანუ ბუჩქი შეგვიძლია 10-12 წლის ასაკამდე შემოსავლიანი, გამაახალგაზრდავებელი სხვლის მეშვეობით პროდუქტიულობა კიდევ 2-3 წლით იზრდება, რის შემდეგაც ბუჩქი ამოიძირკვება.



# დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მერაბ, იმ უკიდეგანო და მარადიულ სასუფეველში, სადაც შენი სიკეთით შემკული სული განისვენებს!



მერაბ სეფაშვილი ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, ვინც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენი რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი ჭეშმარიტი ყვარლელი გახლდათ, სულიერად და ფიზიკურად შემკული, უანგარო მამულიშვილი, ეროვნული ღირებულებების, ადათ-წესებისა და ტრადიციების ერთგული, დიდად ერუდირებული, კეთილშობილებითა და კაცთმოყვარეობით აღსავსე პიროვნება!

მან შინაარსიანი ცხოვრების გზა გაიარა. ახალგაზრდობის წლებიდან სიცოცხლის დასასრულამდე არაერთი მეტად საპასუხისმგებლო პოსტი ეკავა რაიონის იერარქიაში. ეს სრულებით არ გახლდათ შემთხვევითი. მას გამორჩეული თვისებები ჰქონდა განგებისაგან მინიჭებული — ინტელექტით დაწყებული, ოჯახიშვილობითა და გარეგნობით დამთავრებული. იყო სამეგობრო წრეში ულალატო მეგობარი, ხოლო საზოგადოებაში — ულალატო საქმის კაცი. ყველა ადამიანური სიკეთით შემკული, გასაოცარი სიალალითა და სითბოთი გამორჩეული.

სადაც უნდა ემოღვაწა, მერაბ სეფაშვილი ყველგან ამკვიდრებდა ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემის გრძნობას, სითბოსა და სიყვარულს. ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგებისათვის იგი ყოველთვის სიკეთის მთესველი ადამიანის ნიმუში გახლდათ. ასე იცხოვრა მან ამქვეყნად და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ასეთი მრწამსის ერთგული დარჩა. ასეთი გვახსოვს იგი და ასეთი გვემახსოვრება მუდამ!

სამწუხაროა, რომ მერაბ სეფაშვილის მსგავსი უზადო პიროვნებები ასე ნაადრევად მიდიან ამ ცხოვრებიდან. დღეს ჩვენც ამ მწარე რეალობის წინაშე ვდგავართ. მისი მორიგი დაბადების დღე მის გარეშე მოვიდა. ეს გარემოება კიდევ უფრო ამძაფრებს იმ ტკივილს, რასაც უმისობა ჰქვია. მაგრამ მის მიერ დათესილი მადლი დღესაც გვითბობს გულს მის სამეგობროს და ეს სითბო არ განელდება არასოდეს, ვიდრე ამ უკუღმართ წუთისოფელში არსებობა გვიწერია!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მერაბ, იმ უკიდეგანო და მარადიულ სასუფეველში, სადაც შენი სიკეთით შემკული სული განისვენებს!

**ალიმან ლაფაჩიშვილი**






# ვიდრე პირში სული მიდგას მეხსომები და მეყვარები, მერე კი...

ბიჭო მერაბ! ჩვენი ცხოვრება რომ წუთისოფელია, ეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ თუ ასეთი მძიმე იქნებოდა შენი წასვლა ჩემთვის და შენი მეგობრებისათვის... ჯერ კი რა დროა გასული, მაგრამ ჩვენ უსასრულოდ მივიჩნევთ. შენი ყოველი ხსენება ცრემლით მთავრდება, განსაკუთრებით კი მიშიკო იტყობს ამას. ეს ალბათ იმიტომ, რომ ის ჩემზე ადრე გიცნობდა და მეტი დრო გაქვთ ერთად გატარებული. მართალია ბავშვობიდან არ გიცნობდი, მაგრამ მიმაჩნია, რომ შინაარსიანი და ძალზე თბილი იყო ჩვენი ურთიერთობა.

ურთიერთობა პარტიის რაიკომიდან დავიწყეთ, შენ მაშინ კომკავშირში მუშაობდი, მე კი პროპაგანდის განყოფილებას ვხელმძღვანელობდი. კომკავშირში სტუმარი ყოველთვის ბევრი იყო და შენ ასე თუ ისე თავს ართმევდი მათ მასპინძლობას. 1984 წლის ერთ შემოდგომის დღეს რაიკომის პირველმა მდივანმა იოსებ მოლაშვილმა დამიძახა კაბინეტში და მეუბნება, მერაბ სეფაშვილს ხომ იცნობო, მე თანხმობის ნიშნად თავი დავუკარი, მაგრამ სერიოზული ურთიერთობა არ მქონია მეთქი. ჰოდა დაუძახე, დაელაპარაკე და გააბით სერიოზული ურთიერთობებიო. მითხრა, კომკავშირში ბევრი სტუმარი მოდის და მგონი რაღაც პრობლემები აქვსო. ნამდვილად იმავე დღეს შევხვდით, პრობლემების საკითხი გავარკვიეთ და მისი მოგვარების საკითხიც განვიხილეთ.

ყვარლის რაიონის ერთ დაწესებულებას მეტად წესიერი კაცი ხელმძღვანელობდა და რაიკომის ხელმძღვანელთა რეკომენდაციით მას მივაკითხეთ. არა მარტო პრობლემები მოგვიგვარა, არამედ გარკვეულწილად წაგვახალისა და ერთ-ერთ ობიექტში სამეგობრო სუფრაც გაგვიშალა. ამის შემდგომ ჩვენ ერთმანეთს აღარ დავშორებივართ. მერაბ, ახლა ამას იმიტომ ვყვები, რომ ხანდაზმულია და ამნისტია გვეხება. ჩვენი დაახლოების ერთ-ერთი ნაბიჯი იყო შენი ბიჭის, გიორგის დაბადება, რა თქმა უნდა, ყველას გაგვიხარდა მაგრამ მე განსაკუთრებით, ვინაიდან შენ შემომთავაზე გიორგის ნათლია გავმხდარიყავი. ბავშვის ნათლობა შენთან, სახლში ჩავატარეთ, მართლმადიდებელი მღვდელით, მაგრამ მაინც ჩუმად, რომ ქვეყანა არ შეყრილიყო. ჩემს ნათლულს ჩვენი საძმაკაცო დღემდე საყვედურობს მაგის მეტი ნათლია ვერ აარჩიეო, მაგრამ შენი ვაჟკაცი მაგრად დადგა და „მტრულად“ განწყობილმა ბიჭებმა ვერ გადანათლეს. არ შემიძლია არ გავიხსენო თქვენი ერევანში, ფეხბურთზე წასვლა, თუ როგორ იქცეოდა გიორგი, ერეოდა საკითხების მოგვარებაში. განსაკუთრებით კი ის მომწონდა, რომ ყოველთვის „სიმონიჩით“ მოგმართავდა.

მერაბ, გასახსენებელზე მეტი რა არის, მაგრამ არ შემიძლია არ მოვიგონო თუ როგორ ვუყურებდით შენთან ვიდეოფილმს „მონანიებას“. სულ თითის წვერებზე დავდიოდით, რომ არავის გაეგო. შენგან კი ვიცოდით გარკვეული ორგანოების აზრი, რომ ვისაც მოვატანთ, ფირს მთლიანად შეგვაჭმევენო. ერთ დღესაც წყალი შეუდგა ჩვენ სიამტკბილობას. შენს ოჯახში, შენს დაბადების დღეზე, ფინური ლაბადით რომ მოვედი და სახლიდან ლაბადის გარეშე გამომიშვი. რას წარმოიდგენდით მაშინ შენ და მანანა, რომ ერთ-ერთი სტუმარი თავის ლაბადაზე ჩემსას ჩაიცმევდა და ასე წავიდოდა სახლში. ამ ისტორიას კარგი გაგრძელება აქვს, მაგრამ ალბათ ყველაფრის თქმა არ იქნება მართალი.

რა დამავიწყებს იმ ზამთრის დილას „პეტროვიჩის“ მაღაზიიდან რომ გამოხვედი და ქვევიდან დიდ თოვლში ჩექმებით და დიდი ყურებიანი ქუდით რომ მოვდიოდი, როგორ მიცანი. შენი პირველივე სიტყვა იყო „ვოტკუ ბუდეშ“ და დაიწყო ორი კაცის შერკინება. მართალია არ დაგვაცადეს, რვანი გავხდით, მაგრამ ეს იყო ჩვენი სიცოცხლის გამოვლინება. მერაბ, აუარება რამის გახსენება შემიძლია მაგრამ შენს ძმაკაცებსაც უნდა მივცე საშუალება.

ისევ წუთი სოფელით დავასრულებ. ყველა სიკლვდილის შვილები ვართ. გულსატკენი ის არის, რომ ძალიან მოკლეა სიცოცხლე, ვერ ასწრებ გახარებას და საქმეების გადაწყვეტას რაც ჩაფიქრებული გაქვს. იცოცხლოს შენმა მონაგარმა, რათა ყოველთვის გაგიხსენონ და უფალს შესთხოვონ სასუფეველი დაგიმკვიდროს.

ვიდრე პირში სული მიდგას, მეხსომები და მეყვარები, მერე კი...

**შენი რამაზი**

# ... ასეთი გვახსოვხარ, ასეთი გვენატრები და ასეთი დარჩები თითოეული ჩვენგანის გულში

ამასაც მოვესწარი — შენი დაბადების დღე უშენოდ დადგა. ვერც ერთ კოშმარულ სიზმარში ამას ვერ ვნახავდი, ვერანაირ ვითარებაში ამას ვერ წარმოვიდგენდი, საყოველთაო აღიარებით შენ ხომ ჩვენში ყოველთვის რაღაცნაირი იღბლიანი იყავი. რომ გაგეხუმრებოდით, ქუდბედიანი ხარო, ერთს ულვაშებში ჩაიცინებდი (პირდაპირი გაგებითაც), შეიფერებდი, ან აგვიშარდებოდი, გააპროტესტებდი, რა თქვენი საქმეაო, მერე ყველაფერი დაგავიწყდებოდა.

ბევრს ვფიქრობ, შენსა და ბაკურასგან რა ერთნაირი ხვედრი მერგო. სიკვდილამდე ორი დღით ადრე რომ მინახულა, ვერფერი შევამჩნიე, თვითონ კი სცოდნია ყვლაფერი და თურმე დამემშვიდობა. მაგრამ შენ, შენ ხომ არაფერი იცოდი, რამ მოგაფიქრა ავად გახდომის წინა ღამეს რომ დამირეკე და ისე მელაპარაკე „ასეთი სიკიჩი“ (ეს სხვებისთვის, თორემ ჩვენთვის ვინ იყავი კარგად იცი შენ) პირველად დავინახე შენში. ძმაკაცობაში დაბერებულებს ერთბაშად მოგაწვა ერთგულების მუზა, იმის გამეორება, რომ სულ ერთად უნდა ვიყოთ, თითქოს გვაშორებდა ვინმე. მერე, ავად რომ გახდი, ოპტომიზმს არ ვკარგავდი, ყველას ვარწმუნებდი, რომ ეს დროებითია და ყველაფერი გაივლის. ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს შენი ხსენებული იღბლიანობა და ჩვენი ახალგაზრდობის დროინდელი ერთად მუშაობის ერთი ეპიზოდი მაძლევდა, მაღალკვალიფიციურ და ავტორიტეტულ სამედიცინო კომისიაზე რომ გაგვატარეს ერთხელ. ეს იყო, ალბათ, ექიმებთან შენი პირველი და უკანასკნელი ვიზიტი. მე და შენ ერთი საერთო დიაგნოზი — „პრაქტიკულად ჯანმრთელი“ — დაგვისვეს, რაც მართლაც შენს ჯანმრთელობას ადასტურებდა. უბრალოდ, წლებთან ერთად საკუთარ ჯანმრთელობას მეტი ყურადღება სჭირდებოდა, შენ ამას აღიარებდი, მაგრამ არაფერს საამისოდ არ აკეთებდი.

ერთი შენი გამონათქვამი არ მავიწყდება — სიცოცხლე 65 წლამდე ღირს, სანამ აქტიური ხარ, მერე პასიურდები და სიცოცხლეც უინტერესო ხდებაო. ეს აქტიურ-პასიურობა შენ არ გეხებოდა, გამორჩეულად არც ერთი იყავი და არც მეორე. ზომიერი იყავი, ეს ის თვისებაა, მართლაც რომ ამკობს და ალამაზებს ადამიანს. ამ ასაკამდეც ვერ მიაღწიე, 64-ის ხომ ეხლა გახდებოდი. ნამდვილად ნაადრევად წახვედი, ვინც ახლო გიცნობდა, ყველა ამას აღიარებს. შენთვის უცხო იყო პესიმიზმი, უიმედობა და მით უმეტეს, სასოწარკვეთა, პრობლემები გქონდა, როგორც ყველა ჩვენთაგანს, მაგრამ იმედი არასოდეს გტოვებდა, პირიქით, ჩვენ გვამხნევებდი, გვირჩევდი, გული არაფერზე გაიტეხოთო, ყველაფერს მოევლებაო. ეს შენი ხასიათიდან მოდიოდა, ხასიათში კი ბევრი ღირსება გქონდა უფლისგან ნაწყალობევი. ყველაზე მეტად იუმორის საოცარი გრძნობით გამოირჩეოდი, თანაც, ეს იყო ცოტა სხვანაირი, ხშირად ადვილად ვერშესამჩნევი, თითქოს ჩვეულებრივად ნათქვამი, მხოლოდ ახლო გარემოცვისთვის გასაგები. სადღაც მოსმენილს, ყურმოკრულს ან წაკითხულს ისე შეალამაზებდი და მომიყვებოდი რომელიმე ჩვენთაგანზე (აქ მე და გოკას გვანიჭებდი უდავო „უპირატესობას“) მერე ჩვენ თვითონ ვხალისობდით სხვებთან ერთად და ვეჭვობდით, მართლა ხომ არ გადაგვხვდა ეს კურიოზებიო. ამას ისე ოსტატურად აკეთებდი, ბევრ ცნობილ ნოველისტს შეშურდებოდა. აკი მეტყვიან ხოლმე ბიჭები, მთავარი ბიოგრაფი აღარ გყავს, რაღა გეშველებაო, ოღონდ შენ გეცოცხლა, გინდ ქვეყნის ცოდვები მოგეწერა ჩემთვის, ხომ ვიცოდი, რა გულითაც გააკეთებდი ამას.

ჩვენი ახალგაზრდობისა და ერთად მუშაობის კიდევ ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. გახსოვს, ბორჯომიდან მოვდიოდით შენი მანქანით. ცხინვალთან ახლოს ავარია შეგვემთხვა — იქაურმა ასაკიანმა კაცმა დაგვარტყა. რას ვიზამდით, კვირა დღე იყო, დამტვრეული მანქანა მასვე მივაბარეთ და წამოვედით. რამდენიმე დღეში ჩავაკითხეთ ჩვენს მანქანას. მთელი დედულეთი ცხინვალში მყავდა და ერთ-ერთ ბიძაშვილთან გაგვიშალეს სუფრა. იქ იყო ქალაქის მილიციის უფროსი, ჩემი ბიძაშვილი გია სანაკოევი — ღიად გამოკვეთილი ქართული მსოფლმხედველობის, ჩვენი თაობის ბიჭი. სუფრასთან შენს სტიქიაში იყავი — მოილხინე, ათას სახალისო ამბებს ყვებოდი, ჩემი თავიც ახლებურად გააცანი ჩემსავე ახლობლებს და საერთოდ მოხიბლე ისინი. მერე მათ მოსწრებულად თქვეს ქართული ანდაზა — ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ არა ავარია, ამ კარგ ბიჭს ხომ ვერ გავიცნობდითო. მოკლედ, გიას დახმარებით საქმე თვალის დახამხამებაში, კავკასიური წესით — კაცობით, ძმობითა და სიყვარულით მოგვარდა და ახალსდამსგავსებული მანქანით ზარ-ზეიმით გამოგვისტუმრეს.

ბოლოს ფოტოზე გამოსახულ გემზეც ორი სიტყვით, მთელი კვირა ღუზაჩაშვებული რომ იდგა იალტის პორტში: ზოგადად ტექნიკა გესმოდა და გიყვარდა, ამ გემზეც, როგორც იტყვიან გული შეგივარდა, ყოველდღე გავივლიდით და ვთხოვდით, აგვიშვით და დაგვათვალიერებინეთო, მაგრამ ვინ გისმენდა, უცხო ქვეყნისაა და არ შეიძლებაო, თანაც, ეტყობა, ძალიან ვგავდით ტერორისტებს (ფოტოზეც ხომ ჩანს!) და არ გვენდობოდნენ. ეს უკანასკნელი იუმორისტული პასაჟი შენ დაგესესხე, შენი ფრაზეოლოგიის პატრონი ზუსტად ასე შეაფასებდი ამ სიტუაციას. აქაც და მთლიანად ამ სევდიან სტრიქონებსაც იუმორის ელფერი გასდევს — ეს შემთხვევითი არ არის, ეს შენ იყავი თვითონ ასეთი, ასეთი გვახსოვხარ, ასეთი გვენატრები და ასეთი დარჩები თითოეული ჩვენგანის გულში.

**სოსო ხარებაშვილი**

# მერაბ სეფაშვილის („სიკიჩის“) გახსენება

## ჩვენო ძმაო და მეგობარო!

ისე მოულოდნელად დატოვე ეს წუთისოფელი, რომ სათანადოდ ვერ დაგაფასეთ, საკადრისად ვერ მოგეფერეთ. სანანებლად დაგვრჩა შენს საძმოს, რომ სიცოცხლეშივე ვერ გითხარით „კახაბერს კახაბრისა“.

სევდიანი ცრემლებით შეზავებული წერილით გვსურს შენს სულს შევეხმიანოთ, სულს, რომელიც ბუმბულივით მსუბუქი გქონდა, იმიტომ, რომ მთელი შენი ცხოვრებით, „აწყობილი“ ნაბიჯებით, კაცური-კაცობით სიკეთეს და მადლს თესავდი.

მერაბ სეფაშვილი — ყვარლის რაიონის ახალგაზრდობის ყოფილი ლიდერი, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკი გამორჩეული იყავი ნიჭიერებით, პროფესიონალიზმით, საქმისადმი ერთგულებით. დიახ, ჩვენო ძმაო და მეგობარო, შენ დაჯილდოებული იყავი კაცთმოყვარეობით, ლამაზი ღიმილით და ხალასი იუმორით.

შენთან შეხვედრისას შენს მეგობრებს გულებში სითბო სანთელივით ჩაგვეღვენთებოდა ხოლმე და ვხარობდით, რომ სიცოცხლეს გვილამაზებდი.

ცოდოა, ასეთი გამორჩეული, ღირსეული ადამიანის ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლა.

ძალზე გვაკლიხარ და გვენატრები.

**შენი მეგობრები**

# ამ დღეს შენი მოგონების დღე დავარქვით

მიცვალებულთან მისვლას ყოველთვის ვერიდები, ვინაიდან ჩემს ფსიქიკაზე მეტად მტკივნეულ გავლენას ახდენს და ამასთან სურვილი მაქვს ახლობელი ადამიანები ჩემს ცნობიერებაში ცოცხლად დარჩნენ.

ასე მოხდა შენი იმ ქვეყნად გამგზავრების დღესაც ჩემო მერაბ, ამიტომ მგონია, რომ მივლინებით ხარ სადმე წასული და მალე დაბრუნდები. სამწუხაროდ, უკვე მეცხრე თვეა, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ. გვაკლია შენი მუდამ მომღიმარი სახით ნათქვამი მისალმება, გულიანი მოკითხვა და მოსიყვარულება.

შენი მეგობრები ბოლო დროს იშვიათად ვიკრიბებით და თუ ასეთი შეკრება მოხდება როგორც განუმეორებელი თამადა, შესანიშნავი სადღეგრძელოების ავტორი და იუმორით აღსავსე პიროვნება ჩემო მერაბ, ყოველთვის გვახსენდები და შენი ხსოვნის სადღეგრძელოს ვსვამთ.

პირველი წელია უშენოდ უნდა შევხვდეთ 9 იანვარს,შენი დაბადების დღეს, რომელსაც ყოველთვის მაღალ დონეზე აღნიშნავდი მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად.

ამ დღეს შენი მოგონების დღე დავარქვით. შენი ოჯახობა, ახლობლები და მეგობრები მოვალთ საფლავთან ანთებული სანთლებით და უფალს შევთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი ფაქიზი სული.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი

მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი

კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2

საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86